საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივერიელი
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 62 (864)
შაბათი, 16 აპრილი, 1994 წელი
ფასი 5000 კუპონი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

ვ. ხაჭაპურიძის შიდა ქართლის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულად, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირად და სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ

1. **დაინიშნოს** ვაჟა ხაჭაპურიძე სახელმწიფო რწმუნებულად, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირად და სრულუფლებიან წარმომადგენლად შიდა ქართლის რეგიონში ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში. რესპუბლიკისა და რეგიონის ყველა რანგის ხელმძღვანელი ვალდებულია აქტიური დახმარება და მხარდაჭერა აღმოუჩინოს მას საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებათა შესრულებაში.

2. ვ. ხაჭაპურიძემ წარმოადგინოს ყოველკვირეული მოხსენება სახელმწიფოებრივი დავალების შესრულებისა და ამ პროცესში სახელმწიფო სტრუქტურების და მათი ხელმძღვანელების მონაწილეობის შესახებ.

3. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ი. მენაღარიშვილმა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირადმა და სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ვ. ხაჭაპურიძემ მიიღონ გადაუდებელი ზომები სამმხრივი საკონტროლო კომისიის მუშაობის დაუყოვნებლივ განახლებისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხის დროული გადაწყვეტისათვის.

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1994 წლის 14 აპრილი.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

შეიქმნა სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველო

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველო. ეს სპეციალური სამართალდამცავი ორგანო მოწოდებულია საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემაში რესპუბლიკური და ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა აუცილებელი გადასახადების დროულად და სრულად შეტანის მიზნით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს საგადასახადო ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის განკარგულება

ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ აფხაზ სეპარატისტთა სამხედრო გააქტიურებამ კოდორის ხეობაში, და ა. წ. 4 აპრილს მოსკოვში მიღწეული ოთხმხრივი შეთანხმების გამო გამართულმა დებატებმა რესპუბლიკაში გამოიწვია საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვა.

13 აპრილს გაიმართა ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობისა და აფხაზეთის პრობლემებზე მუშაობის მაკოორდინირებელი შტაბის სპეციალური სხდომა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დისლოკაციის ადგილად განისაზღვროს ქ. ზუგდიდი.

2. აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების ხელმძღვანელობით შეიქმნას საგანგებო შტაბები კოდორის ხეობაში, ქ. თბილისში და ქ. [illegible]აისში.

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების გამგებლების ხელმძღვანელობით დასავლეთ საქართველოში შეიქმნას სამუშაო ჯგუფები ლტოლვილთა შორის სისტემატური მუშაობისათვის.

4. ქ. ზუგდიდის გამგებელმა ე. ჩარგაზიამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის შექმნას სათანადო პირობები, გამოყოს ადგილსამყოფელი და აღჭურვოს ტექნიკური საშუალებებით.

5. კატეგორიულად აიკრძალოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა თვითნებური დაბრუნება ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში მათი უსაფრთხოების სრული გარანტიების შექმნისა და სახელმწიფო დონეზე სპეციალური გადაწყვეტილების მიღებამდე.

6. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. ქვირაია), საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების დასავლეთის ზონის დროებითმა კომიტეტმა (გ. ლომინაძე), დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოს რეგიონში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობის მოსალოდნელი სწრაფი ტემპით ზრდის გათვალისწინებით განახორციელონ სპეციალური პროფილაქტიკური ღონისძიებანი კრიმინოგენული ვითარების გართულების თავიდან ასაცილებლად. გააძლიერონ კონტროლი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებზე მგზავრთა გადაადგილების უსაფრთხოებისა და სატვირთო გადაზიდვების უზრუნველსაყოფად.

7. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების სახელმწიფო კომიტეტს (ვ. ვაშაკიძე), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს (ზ. ერქვანია), საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ა. ჯორბენაძე) განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები ლტოლვილთა სოციალური, მატერიალური, სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებით უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

8. საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციამ (ა. გოგელია) დააწესოს მკაცრი ცენზურა საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით გადაცემულ იმ ინფორმაციებზე, რომლებიც ეხება აფხაზეთის საკითხებს.

9. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ (ვ. დათუაშვილი) 1994 წ. 20 აპრილამდე წარუდგინოს აფხაზეთის პრობლემებზე მუშაობის მაკოორდინირებელ შტაბს კოდორის ხეობაში, დასავლეთ საქართველოში განსახორციელებელ სპეციალურ ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა.

10. სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს აეკრძალოთ აფხაზეთთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვა საკოორდინაციო შტაბთან შეთანხმების გარეშე.

11. აფხაზეთის პრობლემებზე მუშაობის მაკოორდინირებელი შტაბის წევრებმა ბატონებმა ზ. ერქვანიამ და ბ. კაკუბავამ შტაბთან შეთანხმებით უზრუნველყონ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაციის ერთობლივი კოორდინირებული მოქმედებები აფხაზეთთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე
თ. ნადარეიშვილი.

თბილისი. 1994 წლის 15 აპრილი.

საქართველოს დამატებით გამოეყო 3,8 მილიონი ეკიუ

ბელგიასა და ევროგაერთიანებასთან საქართველოს რესპუბლიკის მისიამ მიიღო ევროკავშირის ვიცე-პრეზიდენტის ბატონ ლეონ ბრიტენის საპასუხო წერილი ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს დამატებით გამოეყო 3,8 მილიონი ეკიუ საკვები პროდუქტების შესაძენად. ნათქვამია, რომ ევროკომისია მზად არის შეხვდეს საქართველოს წარმომადგენლებს ოფიციალური მოლაპარაკების მოსამზადებლად ორმხრივი პარტნიორული ხელშეკრულების თაობაზე. აღნიშნულია აგრეთვე, რომ სატრანსპორტო დერეფნის „ევროპა-კავკასია-აზიის" პროექტის განსახორციელებლად ევროკომისია ამჟამად განიხილავს საკითხს ამ პროექტის მონაწილე ქვეყნებში სპეციალური საკოორდინაციო ბიუროების შექმნის თაობაზე.

ევროკომისიამ მიიღო ქ. ფოთიდან ჰოლანდიური ფირმის ცნობა იმის შესახებ, რომ ბოლო ხანს ვითარება ნავსადგურში გამოსწორდა და ამჟამად ჰუმანური ტვირთების გადაზიდვა თითქმის ნორმალურად მიმდინარეობს.

მაისის მეორე ნახევარში გათვალისწინებულია ნატოს სამხედრო ექსპერტთა ვიზიტი საქართველოში, რომლის მიზანია „მშვიდობისათვის თანამშრომლობის" პროგრამისა და სამხედრო თანამშრომლობის საკითხების განხილვა.

ბელგიაში და ევროგაერთიანებასთან საქართველოს რესპუბლიკის მისიის პრესსამსახური.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პროფკავშირული მუშაკი, ყოფილი საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე

თეიმურაზ მოსაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობათა მეთაურების საბჭოს სხდომა

მოსკოვი, 15 აპრილი. იტარ-ტას-საქინფორმი. მოსკოვის „პრეზიდენტ-ოტელში" დამთავრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნების მთავრობათა მეთაურების საბჭოს სხდომა. თანამეგობრობის 12 ქვეყნის პრემიერებმა და სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს 17 დოკუმენტს, რომლებიც ითვალისწინებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებას, მთელი რიგი სოციალური, სამხედრო-პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტას. სხდომაზე განიხილეს დღის წესრიგში შეტანილი ოცივე საკითხი. როგორც ცნობილი გახდა იტარ-ტასის კორესპონდენტისათვის ინფორმირებული წყაროებიდან, დღის წესრიგის არც ერთ საკითხზე არ ყოფილა პრინციპული უთანხმოებანი.

ხელმოწერილი შეთანხმებებიდან ხუთი დასამტკიცებლად გადაეგზავნება თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურებს, რომლებიც მოგვიანებით პრემიერებთან ერთად მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას „პრეზიდენტ-ოტელში". ამ დოკუმენტებს შორის არის, კერძოდ, შეთანხმებები ასოცირებული წევრის უფლებით ეკონომიკურ კავშირთან უკრაინის შეერთების შესახებ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტთან მუდმივმოქმედი ორგანოს — ეკონომიკური კავშირის კომისიის შექმნის შესახებ.

• • •

ცნობილი გახდა, რომ თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრის დამთავრების შემდეგ გაიმართება რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევისა და სომხეთის პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის სამმხრივი მოლაპარაკება. მოელიან, რომ მოლაპარაკებაზე განიხილავენ აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

• • •

მოლდოვა შევიდა თანამეგობრობაში და გახდა მისი სრულუფლებიანი წევრი. ეს იტარ-საკდესის კორესპონდენტისათვის ცნობილი გახდა კრემლში სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრის დამთავრების შემდეგ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ იტარ-საკდესის კორესპონდენტს აცნობა, რომ „დღევანდელ შეხვედრაზე უმთავრესი ის არის, რომ კარგი ურთიერთგაგებაა განსახილველ პრობლემათა გამო". როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, ძირითადად განიხილავდნენ ეკონომიკურ პრობლემებს, თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების, ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტების საკითხებს, აგრეთვე კონფლიქტის ზონებთან დაკავშირებულ ზოგიერთ სხვა საკითხს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ „შეხვედრის მონაწილეებს არ განუხილავთ ისეთი საკითხი, როგორიც არის თანამეგობრობის ზოგიერთი ქვეყნის შეერთება ნატოს პროგრამასთან „პარტნიორობა მშვიდობისათვის".

დისკუსია გრძელდება

ქართველთა და აფხაზთა დელეგაციები ჟენევაში იხილავენ კონფლიქტის ზონაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალთა შესაძლო სამშვიდობო ოპერაციის სამხედრო ასპექტებს.

ჟენევა, 15 აპრილი. (იტარ-საკდეს-საქინფორმი). ჟენევის მოლაპარაკებაზე ქართველთა და აფხაზთა დელეგაციები დღეს კვლავ იხილავდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა კომპრომისულ წინადადებებს კონფლიქტის ზონაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ცისფერი მუზარადების" განლაგების შესახებ. თანხმობა შეუმსუბუქებდა ამოცანას უშიშროების საბჭოს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, ღირს თუ არა სამშვიდობო ძალების გაგზავნა საქართველოსა და აფხაზეთში, თუ ღირს — რომელ რაიონებში და რამდენი.

როგორც იტარ-საკდესის კორესპონდენტისათვის კარგად ინფორმირებული წყაროებიდან ცნობილი გახდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავლები რუსეთის წარმომადგენელთა მხარდაჭერით ცდილობენ მხარეები დაარწმუნონ, რომ საჭიროა ურთიერთდათმობა. სამშაბათს ქართველთა და აფხაზთა დელეგაციების მიერ ჩამოყალიბებული სამშვიდობო ძალების განლაგების ვარიანტები ერთმანეთისაგან მეტად განსხვავებული აღმოჩნდა. საქართველოს მხარე წინადადებას იძლევა „მუზარადები" განალაგონ კონფლიქტის მთელ პარამეტრზე — მდინარეებზე ფსოუსა და ენგურზე, უღელტეხილებზე, ზღვის სანაპირო ზოლის გაყოლებით, აეროპორტებში. აფხაზეთის დელეგაციას კი მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფორმირებანი უნდა განლაგდნენ მხოლოდ „სასაზღვრო" მდინარე ენგურზე — ამასთან ორივე ნაპირზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა მიერ შეთავაზებული მესამე ვარიანტი ითვალისწინებს ამ ორივე მიდგომას. იგი ვარაუდობს დემილიტარიზებული ზონის შექმნას ენგურის აფხაზეთის მხარეზე, სადაც განლაგდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები, შეიქმნება შეიარაღების შეზღუდვის რაიონი მდინარის საქართველოს მხარეზე, სადაც მოეწყობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო მეთვალყურეთა და კოდორის ხეობისა და აფხაზეთის სხვა რაიონების პატრულირება.

დაეთანხმნენ რა, რომ ექსპერტთა წინადადება შეიძლება გამოდგეს დისკუსიის საფუძვლად, დელეგაციების წარმომადგენლებმა მაინც არ გამოიჩინეს ერთსულოვნება. დღეს ექსპერტებმა წამოაყენეს ახალი კომპრომისული პროექტი: საქართველოს მხარეს მათ შესთავაზეს დაეთანხმოს დემილიტარიზებული ზონის შექმნას ენგურის საქართველოს ნაპირზეც, აფხაზთა მხარეს — მოეწყოს კოდორის ხეობის პატრულირება. დისკუსია გაგრძელდება, შესაძლოა, შაბათსაც.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაძლო სამშვიდობო ოპერაციის სამხედრო საკითხებზე სამუშაო ჯგუფის სხდომაში ორი მხარის გარდა მონაწილეობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ედუარდ ბრუნერი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოში მეთვალყურეობის მისიის მეთაური დანიელი გენერალი ჯონ ჰვიდეგაარდი და რუსეთის წარმომადგენლები — თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი კონდრატიევი და განსაკუთრებულ დავალებათა ელჩი გენადი ფედოსოვი.

სხდომის შედეგებით ნავარაუდევი არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალთა განლაგების შესახებ რაიმე შეთანხმების ხელმოწერა, განუცხადა იტარ-საკდესის კორესპონდენტს აფხაზთა დელეგაციის ხელმძღვანელმა სტანისლავ ლაკობამ. ასეთი შეთანხმება, აღნიშნა მან, მხოლოდ მაშინ დაიდება, როცა მივაღწევთ კონფლიქტის ყოვლისმომცველ პოლიტიკურ მოწესრიგებას (ამ თემაზე მოლაპარაკება დანიშნულია ჟენევაში 19 აპრილს).

საქართველოს დელეგაციას, როგორც ვიტყობინებოდით, მეთაურობს საქართველოს პარლამენტის წევრი ჯაბა იოსელიანი.

მისიის შესრულებას დაფინანსება სჭირდება

რუსეთის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელი, გენერალ-პოლკოვნიკი გიორგი კონტრატიევი ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ჟენევის მოლაპარაკების სამხედრო საკითხთა სამუშაო ჯგუფის წევრია.

„მშვიდობისმყოფელობა რუსეთში აყვანილია სახელმწიფო პოლიტიკის რანგში, მშვიდობისმყოფელობის პრობლემებმა თავიანთი ადგილი ჰპოვა ჩვენი სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინაშიც", — განაცხადა მან ამას წინათ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას.

გენერალმა სინანულით აღნიშნა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი არ ჩქარობს რუსეთის სამშვიდობო ძალები თავისი მანდატით აღჭურვოს. ამის მიუხედავად, გადაწყვეტილია განვაგრძოთ სამშვიდობო ღონისძიებათა განხორციელება ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მშვიდობის დამყარების ოპერაციების დაფინანსებისათვის, — როგორც კონდრატიევმა თქვა, — რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან შარშან დაიხარჯა 26 მილიარდ მანეთზე მეტი. წლეულს ეს ციფრი, ეტყობა, კიდევ უფრო გაიზრდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის სამმართველოს ოპერაციების ღირებულება აზერბაიჯანში შეფასებულია 6 მილიონ 988 ათას 400 დოლარად.

სომხეთში გაერთიანებული ერების ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის სამმართველოს მფარველობაში იმყოფება 180 ათასი კაცი. დახმარების პროგრამის ღირებულება შეფასებულია 4 მილიონ 430 ათას 700 დოლარად. უმაღლესი კომისრის სამმართველო ყურადღებას მიაპყრობს განსაკუთრებით მძიმე პირობებს ამ რესპუბლიკაში, კერძოდ, სურსათის მწვავე ნაკლებობას.

საქართველოში ამ პროგრამისთვის გაერთიანებული ერების ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის სამმართველო მოითხოვს 3 მილიონ 831 ათას 400 დოლარს. ამასთან, სამმართველო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტში მხარეებს შორის აფხაზეთში, გალის რაიონში დაახლოებით 80 ათასი ლტოლვილის ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. თუ ასეთი შეთანხმება მიღწეული იქნება, სამმართველო აქტიურად იმონაწილებს მის შესრულებაში, რისთვისაც საჭირო იქნება დამატებითი სახსრები.

საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის პრესსამსახური.

ზარებს ნუ დარეკავთ, ორატორებს ხელი ეშლებათ!

— ასე შემოუთვალეს წინა ხელისუფლების მხარდამჭერი ერთ-ერთი მიტინგის ორგანიზატორებმა ქაშვეთის მოძღვარს, მამა ელიზბარს, ასეთი იყო ათწლეულების მანძილზე სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ... არც დღესა გვაქვს თავის მოსაწონებლად საქმე: — საერო კაცებს საეკლესიო ზარების რეკვა შეიძლება ხელს აღარ უშლის, მაგრამ არც ესმით...

ბარათაშვილის ხიდი იმ ფიქრით გავიარე, რომ მაქსიმალისტები ვართ, პოლუსური უკიდურესობების ერი. — ან ძალიან გვიყვარს, ან ძალიან გვძულს, ასეთები ვიყავით რელიგიასთან დამოკიდებულებაშიც...

აკვიატებული ათეისტობა, სავალდებულო, მოდად ქცეული მორწმუნეობით შევცვალეთ, თითქოს რწმენა მოვიძიეთ და სულის სიტლანქემ შეგვაწუხაო, კოლონებად მივაწყდით ეკლესიის კარს, მკერდი ჯვრებით დავიმშვენეთ და პირჯვარის გარდასახვაშიც გავიწაფეთ ხელი, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ნელ-ნელა ესეც მოგვბეზრდა,— რელიგიური რიტუალებით თვითტკბობაზე მაღლა ვერ ავზიდეთ ეს საყოველთაო აღტკინება...

სულის გაორებამ, რწმენის დაუმკვიდრებლობამ, ბევრს დასწყვიტა გული და სულ მალე გაურკვეველი და ყოვლისმომცველი ინდიფერენტიზმი მოგვეძალა, სპექტაკლნათამაშები მსახიობებივით. დაღლილებსა და გამოფიტულებს ეკონომიკურმა გაჭირვებამაც თავისი წილი ტვირთი დაგვიმატა მხრებზე და მოვიხარეთ, ისე მოვიხარეთ, რომ საკუთარი ფეხებისა და დედამიწის მეტს ველარას ვარჩევდით, ლამის კუჭს იქით ღირებულების არსებობა გადაგვავიწყდა. და ვართ ასე: ღმერთი და ერთმანეთი იმდენად გვახსოვს, რამდენადაც გვჭირდება, ისე ადვილად განვიკითხავთ, ცილს ვწამებთ და სასიკვდილოდ ვიმეტებთ ჩვენსავე მოყვასს, ხელი არ გვითრთის...

გაჭირვებამ მოძღვარი გამახსენა, ყოველთა წმინდათა ეკლესიის მოძღვარი მამა თეიმურაზი, და დაბნეული დათა თუთაშხიას მსგავსად, რომელმაც, როცა ველარ გაიგო „რაა საკეთებელი და ნამდვილი საქმე", დედა ეფემიას მიაკითხა, მეც მამა თეიმურაზს ვესტუმრე.

— წმინდა მამები ამბობენ, პირველი ნიჭი მადლისა, პირველი ნიშანი სულიწმინდისა, არის განცდა თავისთა ცოდვათა; რატომ დაბლაგვდა ასე ძალიან ერის სირცხვილის გრძნობა და თვითგვემა რად არ გვაწუხებს-მეთქი ჩადენილ ცოდვათა გამო, — ვკითხე.

— ხშირად მისაყვედურებენ, რომ შეფასებაში ძალიან მკაცრი ვარ: ყველაფერს თავისი სახელი უნდა ეწოდოს და რაც შეიძლება ადრე, — ასეთია ჩემი პრინციპი. რაც შეეხება თქვენს კითხვას, გეტყვით, რომ ერს გლობალური სკლეროზის ხანა უდგას, ღრმა სკლეროზისა; ხომ გინახავთ სკლეროზიანი ადამიანი, — ჩასვრილია, მაგრამ თვითონ ამას ვერა გრძნობს; თვითგვემა ცოდვათა შეცნობას მოჰყვება ხოლმე, ერი კი ცოდვებს ვერ აცნობიერებს; ისე ღრმად არის გამჯდარი დაავადება მის უჯრედებში, რომ ქირურგიულ ჩარევაზე ფიქრიც არ შეიძლება — ოპერაციის შემდეგ ხელთ აღარაფერი შეგვრჩება.

— თქვენ ამბობთ, რომ ხსნა არ არსებობს?

— ხსნა მომავალშია, მაგრამ არა იმ მომავალში, „მზრუნველმა" დედიკოებმა და მამიკოებმა საზღვარგარეთ რომ გადამალეს. უკანაც რომ მობრუნდნენ, ისინი ქვეყნის ტკივილებს ვერ უწამლებენ, ღირებულს ვერაფერს შექმნიან, რადგან აქ მათი ოფლის სუნი არაფერს ასდის. მხოლოდ მომხმარებლები იქნებიან და არა შემოქმედნი. „სოფელი ესე ბოროტებასა ზედა ძევს, მრავალნი არიან წვეულნი და მცირედნი არიან რჩეულნი", — ამბობს სახარება. გითხარით, ხსნა მომავალშია-მეთქი, ეს მომავალი კი დღეს აქ არის, საქართველოში; ხვალაც აქ იქნება; მათ სცივათ, შიათ, ბევრი რამ აკლიათ, მაგრამ ქვეყნის ტკივილს არიან დაყურადებულნი და მისი მაჯისცემაც კარგად ესმით. სწორედ მათშია ქვეყნისა და ერის ხსნა.

მივეჩვიეთ და, ტაძრის ეფექტის აღქმას გუმბათიდან ვიწყებთ, მისი სიმაღლე გვაოცებს ხოლმე, გონიერმა კაცმა იცის მხოლოდ, რომ ეს გუმბათი საძირკველზე რომ არ იდგეს მყარად, ვერ იქნებოდა ასე სრულქმნილი, ნახევრად გაჩორკნილ თუ სრულებით გაუჩორკნავი ლოდების საძირკველზე; და თუ გვინდა ყველაფერი კარგად იყოს და ისე ვიცხოვროთ, როგორც ვიმსახურებთ, მიწაში საძირკვლად უნდა ჩავწვეთ, რათა ჩვენმა შვილებმა კედლები ამოიყვანონ და მათმა შვილებმა გუმბათი დაადგან...

— ეკლესიას ყოველთვის ჰქონდა თავისი მისიონერული ფუნქცია, ამინდს ქვეყანაში ეკლესიაც ქმნიდა, დღეს კი ეს რატომღაც არ იგრძნობა...

— მაშინ ეკლესია და სახელმწიფო ერთად იყო, დღეს კი ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიადაც არ არის აღიარებული. სკოლებში რელიგიას გუშინდელი ხელმოცარულნი, ე. წ. „გადაკვალიფიცირებულნი" ასწავლიან. მოდურ კოლეჯებში კათოლიკე პასტორები არიან ჩამოსულები და მოძღვრობენ. ყველა უბედურების მიზეზი უღმერთობაა და სიყვარულის დეფიციტი. ეკლესია მხოლოდ ჯვრისწერისა და სანთლების დანთების რიტუალის შესასრულებელი ადგილი როდია — მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა იქცეს, ცხოვრების წესად და არა იდეოლოგიად; მართლმადიდებლობა საუკეთესო სახით წარმოდგენილ უნდა იყოს სახელმწიფოს ხელმძღვანელთა პირადი ცხოვრებითა და სახელმწიფო აზრისა და არსის განმაპირობებელთა პირადი ცხოვრებით. — მხოლოდ ასეთ დროს შეასრულებს ეკლესია თავის არა მხოლოდ მისიონერულ, არამედ სხვა ნებისმიერ ფუნქციას.

— მამაო თეიმურაზ, მართლმადიდებლობის პასიურობას საქართველოში სხვა რელიგიების გააქტიურება მოჰყვა, იქმნება ათასი ჯურის სექტა, ბევრი ქართველი ამ სექტების წევრი ხდება...

— ნებისმიერი რწმენა, ეს არის საკუთარი ეროვნულობის, მამა-პაპათა საფლავების უგულებელყოფა, რომლებმაც ქრისტიანობის სამსახურით მოიტანეს ჩვენამდე საქართველო. საერთოდ, სექტები მაშინ ჩნდება ხოლმე, როცა სოციალური და ეკონომიკური კრიზისი დგება; მათ რეალობასგაქცეული, შინაგანად მოუწესრიგებელი ადამიანები ავსებენ. სექტა არის ფორმა, რომელსაც იოლად მოაქვს თავი შენამდე და იაფად ყიდის თავს. თითოეული დღეს არსებული სექტის უკან ამერიკული სალეჭი რეზინი მოჩანს. ეს იდეოლოგიური აგრესიაა მართლმადიდებლობაზე და სხვა არაფერი. სექტას ნერვულად დაზიანებული ადამიანები მიმართავენ, რომლებიც ადვილად ექცევიან შარლატანების, ე. წ. მისტიკის გავლენის ქვეშ. დიდი ნაწილი სექტებისა და მათი ლიდერებისა, (შეიძლება მათი კართოტეკების ამოწევა) ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში იმყოფებიან აღრიცხვაზე... როცა ეკონომიკური კრიზისი დგება, ხალხში მისტიციზმი მატულობს, რადგან ფსიქიკა გამოსავლის ძიებაშია, ამით კარგად სარგებლობს სექტა. სექტის არც ერთი წევრი არ ზრუნავს საკუთარი თავის შეცნობისათვის, იგი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სული მოისყიდოს, ეს არის ფანატიკური აქტიურობა...

— გაზიარებული ტკივილი — ნახევარი ტკივილია, შემსუბუქებული დარდი — ნახევარი დარდიო, — ამბობენ — როგორ გგონიათ, ბევრს ეგულება დღეს საქართველოში ეკლესია დარდთა და ტკივილთა მესალბუნედ?

— ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, მისთვის ღმერთი მამა არ არის; ღმერთთან მიმავალი გზა ეკლესიაზე გადის, რადგან თვით ღმერთმა ისურვა ასე. წლების მანძილზე ხელისუფალთა მიმართ პროტესტმა და ჯანყმა, ეს პროტესტი ეკლესიასაც დაატეხა თავს, რადგან ეკლესია სახელმწიფოს დანამატად ითვლებოდა. საზოგადოებრიობა ამ პროტესტს იმით გამოხატავდა და გამოხატავს, რომ შვილს ეკლესიურად აღარ ზრდის. დღეს ლოზუნგები შეიცვალა, თორემ შინაგანი დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ იგივე დარჩა. ყველაფრის მიუხედავად, ეკლესია მაინც იდგება შუამავლად ღმერთსა და კაცს შორის, მას ბოლშევიზმმაც ვერაფერი დააკლო, თავი დაიწყევლა მხოლოდ...

ხოლო რწმენას რაც შეეხება, დიდი ტკივილიდან იწყება ყოველთვის. ისე როგორც ყველაფერს ფასეულს, რწმენასაც დიდი ტკივილი ედება ხოლმე საფუძვლად.

ისე კი, ღმერთი კი არ უნდა იწამო, უნდა დაიჯერო, უნდა დაიჯერო ის, რაც ღმერთმა აცნო ადამიანს და მერე ცხოვრების წესად გაიხადო... ასე რომ, არასდროს არ არის გვიან, თუ დღეს ბევრს არ ვეგულებით ტკივილთა მესალბუნედ, ეს არაფერია, ხვალ მოვა ეს დრო. კიდევ ვიმეორებ: არასდროს არ არის გვიან. უფალმა მეთერთმეტე ჟამს მოსულ მუშაკს სასყიდელი იგივე მისცა, რაც პირველ ჟამს მოსულს; ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მორჩეს სინანულის ხანა, ხომ უნდა ამოვიწიოთ ლაფიდან და ვიშრომოთ. სახარების პრინციპია, — უკანანი წინ და წინანი უკან...

* * *

სიკეთის არქმნა უკვე ბოროტებაა, ქვეყნის დასაბამიდან უფალმა უჩვენა ადამიანს: — აი, გზა სიკეთისა, აი, გზა ბოროტებისა, განვართხოთ კაცის ხელი და თვითონ აირჩიოს, — ხოლო როცა აირჩევს, მერე ვერავის დააბრალებს. — ასეთია მამა თეიმურაზის მრწამსი. მას არც მრევლი აკლია და არც რჩევის საკითხავად მიმსვლელ-მომსვლელი, ყოველთაწმინდა კი ერთი პატარა, მყუდრო ეკლესიაა სანაპიროზე, ბარათაშვილის ძეგლთან ახლოს, ამ უბანში მამა თეიმურაზი მართლა ყველამ იცის, ყველას უყვარს და ყველა ენდობა; თუ რატომ, მინდა თქვენ თვითონ განსაჯოთ:

ეკლესიაში ადრიანად მისულს მამა თეიმურაზმა მომიბოდიშა, — მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად უნდა წამიყვანონო, და მართლაც მოაკითხეს მანქანით.— გარეთ დაგელოდებით-მეთქი, — წამოვდექი, ისეთი ბუნებრივი გულწრფელობით გაიკვირვა, — რატომ გარეთ, ეკლესიაში დარჩით, — შემრცხვა. თან გასაღები გადმომიწოდა — კაცნი ვართ, ვინ იცის, გარეთ გასულ კაცს რა მელისო, თუ ორმოც წუთში მაინც არ დავბრუნდი, კარი დაკეტეთ და გასაღები აგერ, იმ სახლში დეიდა სონია ცხოვრობს, და მასთან დატოვეთო. მერე დასძინა, სანთლებს ფასი ზედ ადევს. ვინც მოვა, თავის თავს თვითონ მიხედავსო და წავიდა...

ზუსტად ორმოცი წუთი ვიყავი „მასპინძლი" ეკლესიაში, მომსვლელი ბევრი იყო, ფულს ტოვებდნენ, სანთელი ან მიჰქონდათ ან იქვე ანთებდნენ, კარი ღია იყო და ბავშვებიც შემოდიოდნენ. მოიკითხავდნენ ხოლმე მამა თეიმურაზს. ერთმა ქალმა შინ მომზადებული სადილიდან ლობიო, მწნილი და ახალი მწვანილიც მოუკითხა პატარა კალათით. იქვე, კანდელთან, პატარა ყუთში ბევრი რუსული კუპიურიც ჩავარდა კუპონთან ერთად იმ ორმოც წუთში...

მეჭირა ხელში გასაღებების მძიმე ასხმა და ვფიქრობდი: — რა ადვილია ადამიანს ადამიანად მოვლენის ბედნიერება აგრძნობინო, და მაინც... რა ძნელი!

ფე

მერვე სვეტი

დალის ხეობაში

სააგენტო „იბერიას" ცნობით, დალის ხეობაში აფხაზთა მხრიდან ადგილი აქვს დიდი რაოდენობით სასიცოცხლო ძალისა და ტექნიკის კონცენტრაციას. ქართული მხარე ყველაფერს აკეთებს პოზიციების გასამაგრებლად. კონფლიქტის ზონაში იმყოფება საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი.

ზუგდიდი. სააგენტო „იბერიას" ცნობით, გუშინ მდ. ენგურზე არ შედგა საქართველოს მაშველთა კორპუსთან არსებული ტყვეთა გაცვლის კომისიის წევრთა შეხვედრა აფხაზთა მხარის დელეგაციასთან იმ უბრალო მიზეზით, რომ აფხაზთა წარმომადგენლები ადგილზე არ გამოცხადდნენ.

ვინაა დამნაშავე?

სააგენტო „იბერიას" ცნობით, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის პირველმა მოადგილემ ავთანდილ იოსელიანმა განაცხადა, რომ 26 მაისს ქ. სოჭში გაიმართება ოთხმხრივი კომისიის მორიგი შეხვედრა, რომელზეც გაეროს დელეგაციამ უნდა წარმოადგინოს დოკუმენტი სამხედრო დანაშაულის განსაზღვრის შესახებ. გარდა ამისა, აფხაზთა მხარისათვის გადაცემულ ლტოლვილთა სიებში თუ გაჩნდება ეჭვი ამა თუ იმ პირის მიმართ, ოთხმხრივმა კომისიამ უნდა დაადასტუროს წაყენებულ ბრალდებათა სისწორე.

ბატონ იოსელიანის თქმით, იგი ესაუბრა უბრალო აფხაზებს, რომლებიც შეწუხებულნი არიან კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავებით, ნარკომანიითა და მაროდიორობით.

შეხვედრა ამერიკელ სტუმართან

აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ მიიღო ნავთობის კომპანიის პრეზიდენტი, კალიფორნიის შტატიდან ფრენკ გრაინკე. ბატონმა ასლან აბაშიძემ სტუმარს გააცნო საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია, ესაუბრა პრობლემათა გადასაჭრელი გზების შესახებ.

აღნიშნული ნავთობის კომპანია სხვა ვალდებულებებთან ერთად კისრულობს აჭარას აღმოუჩინოს დახმარება მთელი რიგი პროექტების რეალიზაციისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს სოციალური პრობლემების გადაწყვეტას.

ჩვენ გვიჭირს. სხვას ვეხმარებით

„საქსპეცტრანსის" სპეციალური სახეობის ტრანსპორტის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ დაიწყო იალტისათვის პირველი საბაგირო გზების მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოები. აშენდება სამი გზა, რომლებიც უმოკლესად დააკავშირებენ ქალაქის ცენტრსა და სანაპირო ზოლს მთის ფერდობებზე აგებულ საცხოვრებელ უბნებს.

ამ სახეობის ტრანსპორტის განვითარებას ყირიმში დიდი მნიშვნელობა აქვს შიდასაქალაქო კომუნიკაციის პრობლემათა გადაჭრისათვის.

გაგიმარჯოს, ბატონო ლაშა!

გაზეთ „ახალ-დასავალის" რედაქტორმა ლაშა ნადარეიშვილმა ჩვენი რედაქციის შეკითხვაზე — საინტერესოს რას სთავაზობთ მომდევნო ნომერში მკითხველს? — ასე უპასუხა:

— ვიწყებთ ახალ რუბრიკას — „გამარჯობა, რედაქტორო!" პირველი სტუმარი „ახალგაზრდა ივერიელის" მთავარი რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილია. მასალა დაიბეჭდება სათაურით „მე ნარკომანი არა ვარ!".

ეს ინფორმაცია კი ჩვენი „მერვე სვეტის" სიახლეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენივე მერე სხვისგან შევიძინოთ?!

ქართველი გამომგონებლები არატრადიციული მეთოდებით იაფი ელექტროენერგიის მიღების უნიკალურ შანსს იძლევიან, ჩვენ კი...

საქართველოს გადარჩენა, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ეროვნული ღირსების შეგრძნებისა და მამულიშვილური გრძნობის გაუღვივებლად შეუძლებელია. არადა, დღეს საქართველოში, სამწუხაროდ, სწორედ ამ ღირებულებათა მწვავე დეფიციტია. ვერანაირი კეთილი და გულუხვი მეზობელი, როგორც არ უნდა მოინდომოს, საბოლოოდ ვერ გვიშველის. ლუკმაპურისთვის სამოწყალოდ კარდაკარ სიარული, მეტი თუ არა, საჩოთიროა. ჩვენ თავს ჩვენვე უნდა ვუშველოთ. საქართველოს, ქართველ ხალხს ამის უნარი აქვს. სწორედ ამ უნარის, ინტელექტის მძლავრად ამოქმედებაა საჭირო. სახელმწიფომაც უპირველესად სწორედ იმაზე უნდა იზრუნოს, რომ გონიერ ხალხს მოღვაწეობისა და თავისი შესაძლებლობების სრული გამოვლენის საშუალება მისცეს.

ჩვენთან კი ამ მხრივ რა მდგომარეობაა? ვინმეს უფიქრია დღეს რამდენი ქართველის გონება მუშაობს უცხო ქვეყნების სასიკეთოდ? არ დაგვითვლია. რატომ? ეს ხალხი, როგორც ჩანს, ჩვენში დღეს არავის სჭირდება. სანამ აქ არიან, არც უთანაგრძნობენ, არც უსმენენ და ხშირად ხელსაც უშლიან.

ამ შესავლის გაკეთება რამდენიმე დღის წინ რედაქციაში ახალგაზრდა კაცის მოსვლამ გადამაწყვეტინა, რომელმაც მაგიდაზე საქაღალდე გადმიშალა და მითხრა: რამდენი ხანია ჩვენი საქმიანობით ვერავინ დავაინტერესეთ, იქნებ თქვენ მოგვაქციოთ ყურადღებაო.

დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მძაფრი ენერგეტიკული კრიზისი ფასების მკვეთრი ზრდისა და ჰიდრორესურსების სიმცირით არის გამოწვეული. ბუნებრივია, მეცნიერება მოწადინებულია ამ პრობლემის გადასაჭრელად და ერთ-ერთ გამოსავალს მცირე ჰესების ფართო გამოყენებაში ხედავს, თუმცა ელექტროენერგიის მიღების იაფი და უძლიერესი წყარო — თავისუფლად ვარდნილი წყალი — ჩანჩქერი მხედველობის მიღმა არის დარჩენილი. მისი გამოყენების ტრადიცია მსოფლიოში თითქმის არ არსებობს. სწორედ ამ ენერგიის (ჩანჩქერები საქართველოშიც მრავლად არის) ათვისების შანსს იძლევა ქართველი გამომგონებლების ზურაბ და კონსტანტინე მაისურაძეების, თენგიზ სეფიაშვილი-კალატოზოვის მიერ შექმნილი წყალსასხმელი ტურბინა. გამოგონება, რომელიც საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის შესაბამისმა უწყებებმა დააპატენტეს, ბუნებრივი და ხელოვნური ჩანჩქერებისგან იაფფასიანი ელექტროენერგიის მიღების უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა.

ვითხოვთ ყურადღებას!

წყალსასხმელ ტურბინას მაღალი კაშხლები და მრავალკილომეტრიანი ჰიდროტექნიკური ნაგებობები არ სჭირდება. ეკოლოგიურად სუფთაა. ჩვეულებრივ ტურბინებთან შედარებით იგი მარტივი აგებულებისაა, უსაფრთხოა, შესაქმნელად იოლი და იაფია. პატენტის მიხედვით წყალსასხმელი ტურბინა მუშაუნარიანია და წარმოებაში დიდი ეფექტის მოცემა შეუძლია. გამოგონების ძირითადი კონსტრუქციული სხვაობა მოქმედ ტურბინებთან შედარებით ის არის, რომ მუშა ბორბლის შინაგანი სივრცე მთლიანად არის ათვისებული. წყალი უსარგებლოდ არ იხარჯება. მასზე არ მოქმედებს ბუნების ჟინიანობა. ტურბინა მხოლოდ ჰორიზონტალურ რეჟიმში, ჰაერში, გამდინარე წყლის შეუხებლად მუშაობს. სიმძლავრეს დედამიწის მიზიდულობის კანონის შესაბამისად, ვერტიკალურად ვარდნილი ჩანჩქერის ბოძის ღია ჩამჩებზე დარტყმითა და წყლის სიმძიმის დაწოლით ღებულობს. მუშანახევარზე განლაგებულია ბრტყელი ფრთები, რაც მას დამატებით ძალას ანიჭებს. ბორბლის დიამეტრის შეუცვლელად, ჩამჩების სიგანის გაზრდით და ერთმანეთსა დაკავშირებული ტურბინის კასკადის შექმნით (თუ არსებობს წყლის მარაგი), შესაბამისად იზრდება სიმძლავრეც.

ამრიგად, საქმე გვაქვს უნიკალურ შემთხვევასთან. ქართველი გამომგონებლები არატრადიციული და არასტანდარტული მეთოდებით იაფი ელექტროენერგიის მიღების გარანტს იძლევიან. გამოგონების რეალიზებისთვის ფირმა „გმნოს" ახალი ტიპის ელექტროსადგურების და ტურბინის მშენებლობისთვის შექმნილი აქვს მოდელი და მზად არის მსოფლიოში პირველად მრავალმეგავატიანი საცდელი ჰიდროტურბინა გამოუშვას.

ვფიქრობ, გამოგონებით აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ შესაბამისი უწყებები და საწარმოები, რათა პროექტმა ხორცი შეისხას. მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 24 თებერვლის 63/65 მითითების საფუძველზე სასურველია მათ გრძელვადიანი სესხიც გამოეყოთ ამ მართლაცდა მამულიშვილური საქმის განსახორციელებლად. სხვა შემთხვევაში, როგორც ჩვენში არაერთხელ მომხდარა, ეს ხალხიც უცხო ქვეყნებში მოიპოვებენ აღიარებას, საქართველოს კი მომავალში ამ პროექტების შესაძენად გაცილებით მეტის გადახდა მოუწევს, ვიდრე დღეს რესპუბლიკაში აღნიშნული ტურბინის მშენებლობის დაფინანსება დაჯდება.

შოთა მაჭარაშვილი.

შეუსრულებელი დადგენილებები და დანგრეული მაღაროები

რესპუბლიკაში არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ მძიმე ეკონომიკური და სოციალური პრობლემები შეუქმნა ჭიათურასა და მის ზონას. დღემდე საშველი არ დაადგა საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" ამოქმედებას. არადა, მისი გამართული მუშაობა მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებს, არა მარტო რეგიონის, არამედ რესპუბლიკის ეკონომიკურ მაჩვენებელს. თუმცა რომელ გამართულ მუშაობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა შარშან ჭიათურელმა მაღაროელებმა საწარმოო პროგრამა მხოლოდ 6,7 პროცენტით შეასრულეს, არ უმუშავიათ წლევანდელი წლის პირველ კვარტალშიც. ქართული მანგანუმის სამრეწველო დამუშავების მთელი ისტორიის მანძილზე მუშაობის წყვეტილობის ასეთი ფაქტი უპრეცედენტოა.

შექმნილი მდგომარეობის გამო უმუშევრად დარჩენილ მაღაროელთა ნაწილი უკვე ოჯახის რჩენის სხვადასხვა გზის ძიებას შეუდგა. სამწუხაროდ, მუშათა დენადობა გრძელდება. გამოსავალი თითქმის არ ჩანს.

მაინც, რა ხდება „ჭიათურმანგანუმში"? როგორც შარშან, ასევე წელსაც მინისტრთა კაბინეტმა ამის თაობაზე რამდენიმე განკარგულება და დადგენილება მიიღო, ამას სახელმწიფოს მეთაურის სპეციალური განკარგულებაც დაემატა: „ქალაქ ჭიათურისა და ჭიათურის ზონის სოციალურ-ეკონომიკური პირობების, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" სისტემაში შექმნილი საწარმოო ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

და მაინც, როგორია რეალობა. როგორ ასრულებენ დავალებებს სამინისტროებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელები?

ამ კითხვებს უპასუხებს საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" გენერალური დირექტორი **მიხეილ აფაქიძე.**

— ენერგეტიკულმა კრიზისმა, რომ იტყვიან, კატასტროფულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო. მაღაროების ხანგრძლივმა გაჩერებამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა როგორც „ჭიათურმანგანუმის" საწარმოო გაერთიანებას, ასევე ქალაქ ჭიათურისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას. პირველ რიგში გამოიწვია მაღაროების მიწისქვეშა საწმენდი, საზიდი და კაპიტალური გამონამუშევრების მასობრივი ნგრევა, რამაც უკიდურესად გაართულა სამთო-ტექნიკური და სამთო-გეოლოგიური პირობები. მიწისქვეშა გამონამუშევრების ნგრევის პროცესი კვლავ გრძელდება. მარტო ამ სახის დაზიანებით მიყენებულმა ზარალმა, წინასწარი გაანგარიშებით, დღეისათვის ოცდაათ მილიარდ მანეთს მიაღწია. მაღაროების აღდგენა-ამოქმედებაც დიდ თანხებსა და დროს მოითხოვს. გაერთიანებაში კოლოსალურად იზრდება კრედიტორული დავალიანებები. წელს პირველი აპრილისათვის ვალებმა უკვე 50 მილიარდ კუპონს გადააჭარბა.

დღევანდელ პირობებში „ჭიათურმანგანუმს" ადრე დაწყებულ მშენებლობათა დამთავრება ალ არ ძალუძს, რის შედეგადაც ძირითად ფონდებზე დამატებით 61 მილიონი მანეთი აქვს გადასახდელი. უაღრესად ცუდი ფინანსური მდგომარეობის გამო მანგანუმის წარმოება უკვე სულს ღაფავს. ჩვენმა დამოუკიდებელმა კონტაქტებმა რესპუბლიკისა და უცხოელ პარტნიორებთან სასურველი შედეგები ვერ გამოიღო, მათთან, ჯერჯერობით, კავშირები გაწყვეტილია. ამ მიზეზებით საწარმოო გაერთიანების თითქმის ყველა სამსახური ხელფეხშეკრულია.

კონტროლზე!

ვერ ვიტყვით, რომ ადგილობრივი და რესპუბლიკის ხელმძღვანელები გულხელდაკრეფილი უყურებენ ჩვენს გასაჭირს. სახელმწიფოს მეთაურმა წლეულს თებერვალში ჭიათურელთა დასახმარებლად სპეციალური განკარგულებაც გამოსცა. რასაც მინისტრთა კაბინეტის დადგენილებაც მოჰყვა, რომლითაც რესპუბლიკის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის დეპარტამენტს დაევალა ჭიათურას უწყვეტად მიაწოდოს 16 მეგავატი ელექტროენერგია (მათ შორის ჩვენთვის 10 მეგავატი უნდა მოეწოდებინათ). ამავე დადგენილებით კონცერნ „საქნავთობპროდუქტს" დაევალა ჭიათურის ზონისა და „ჭიათურმანგანუმის" ყოველთვიურად 300 ტონა დიზელის საწვავითა და 120 ტონა ბენზინით მომარაგება. შესაბამისი დავალებები მიიღეს სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტმა, პურპროდუქტების კორპორაციამ, ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრომ, ცეკავშირმა და ზოგიერთმა სხვა სამინისტრომ და უწყებამ. დადგენილებების მიღებიდან უკვე საკმაო ხანი გავიდა. „საქენერგოს" ხელმძღვანელებმა თავიანთი გადაწყვეტილებით 14 მარტიდან „ჭიათურმანგანუმს" ორცვლიანი ციკლით მუშაობის უზრუნველსაყოფად ელექტროენერგიის ზღვრული სიდიდე (ათის ნაცვლად ცხრა მეგავატი) განუსაზღვრეს, მაგრამ იგი ვერ შეასრულეს და მხოლოდ 3 მეგავატი ელექტროენერგია გვიწყალობეს. ისიც მხოლოდ დღეგამოშვებით, წინასწარ შეუთანხმებლად და თანაც ხშირი გამორთვებით, რის შემდეგაც მწყობრიდან გამოვიდა ძვირადღირებული აგრეგატები, იყო მაღაროში მომუშავეთა ტრავმირების შემთხვევები. კონკრეტული დახმარება არც სხვებიდან ჩანს, რის გამოც იძულებული გავხდით მუშები სამსახურიდან დროებით დაგვეთხოვა. მათ ოჯახები აქვთ, ჩვენგან მიცემული ანაზღაურება კი საარსებო მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს, კარგა ხანია შეჩერდა მიწისქვეშა გამონამუშევრების შედეგად დაზიანებული სახლების მშენებლობა, მოსახლეობას ვერ ვუნაზღაურებთ მიყენებულ ზარალს და ვერ ვაკმაყოფილებთ მათ სამშენებლო მასალებით. შეწყდა შეღავათიანი სესხების გაცემაც. კრიტიკულ ზღვარს მიღმა დაეშვა მუშათა სოციალური უზრუნველყოფა, რაც მათ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ვფიქრობ, ვითარების ადგილზე გასაცნობად რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი მუშაკები „ჭიათურმანგანუმის" საწარმოო გაერთიანებაში დროულად უნდა ჩამოვიდნენ და პრობლემური საკითხები ადგილზევე გადაწყვიტონ. სხვა შემთხვევაში „ჭიათურმანგანუმს" დახურვის საფრთხე ემუქრება, — დასძენს ბოლოს ბატონი მიხეილი.

...გულსაკლავად გამოიყურება გაძარცვული, სიცოცხლეჩამკვდარი მაღაროები. მათი უმოქმედობა ამუხრუჭებს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, საწარმოო გაერთიანება „აზოტის" მანგანუმის ნედლეულით მომარაგებას და ჭიათურის სხვა საწარმოების მუშაობასაც.

და მაინც, გაერთიანების რვა ათასამდე მუშა-მოსამსახურე (სამუშაოდან დროებით დათხოვნის მიუხედავად) ხვალინდელი დღის რწმენითა და იმედით ზურგს არ აქცევს იმ საქმეს, რომელსაც მრავალი წელი ემსახურებოდა. „ჭიათურმანგანუმი" უნდა ამუშავდეს, მიღებული დადგენილებები უნდა შესრულდეს.

სოზარ კუპატაძე,
„ხრ" საკ. კორ.

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...

დღეს არქიტექტურული პრობლემები ნაკლებად აწუხებს საზოგადოებრიობის დიდ ნაწილს. მშიერი და უსახლკარო კაცისათვის „აღმშენებლობა" უხუროთმოძღვრებოდაც შეიძლება, მაგრამ ამ პრაგმატული თეზის დამანგრეველი ძალის გათვითცნობიერება მხოლოდ რჩეულთ ძალუძთ, ასე იყო, ასე არის, ამიტომაც მივმართავთ მათ ვისაც...

...თბილისელები ვინ არიან? რით განსხვავდებიან თბილისის მკვიდრნი ახალმოსახლეთაგან, რატომ არის, რომ განურჩევლად ასაკისა, მათ აქვთ უამრავი საერთო ნიშან-თვისება, ზნე-ჩვეულება? ყოველივე ჩამოთვლილი ადვილად დასანახია, მათი ქცევის ეტიკეტშიც ვლინდება. დღეს მკვიდრ თბილისელს, მკვიდრ ქუთაისელს, მკვიდრ ბათუმელს თუ სხვა ქალაქების მკვიდრთ ვერ დაუმალავთ წუხილი იმის გამო, რომ მათი ქალაქი და მოქალაქეები კარგავენ თავიანთ ჩვეულ ღირსებებს, სანაცვლოდ კი იძენენ ახალს, უცხოს, გულგრილნი ხდებიან იმ მშვენიერების მიმართ, რაც მათ წინაპრებს შეუქმნიათ. რისი, ვისი ბრალია? ნუთუ მშობელი, ან იქ დაბადებული პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, კინო, თეატრი, ტელევიზია არ ასაზრდოებდა მათ ფასდაუდებელი განძით ამ ქალაქის მკვიდრთა შექმნილი წარსულის მშვენიერებით? რა თქმა უნდა, ასაზრდოებდა. მაგრამ არასრულფასოვნად, ვინაიდან ჩამოთვლილ საშუალებებს ძალუძთ მხოლოდ ლეგენდების შექმნა და არა მუდმივი, ცოცხალი მატერიალური გარემოსი. მატერიალურ-არქიტექტურულ გარემოს კი ყველაზე მძლავრად, უმტკივნეულოდ, ძალადაუტანებლად ძალუძს ადამიანზე ზემოქმედება და, რაც მთავარია, მოზარდის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი ფუნქციის შესრულება.

სულაც არ მიკვირს, რაც დღეს ჩვენში, კერძოდ თბილისში ხდება, ვინაიდან ბევრი პროფესიონალი არქიტექტორი თუ რიგითი მოქალაქე უმოწყალოდ ექცევა ქალაქს, რომელშიც ცხოვრობს. უპატივცემლოდ და უყურადღებოდ ტოვებს შემორჩენილ ხანდაზმულ, ფიზიკურად შელახულ მამა-პაპათა ქმნილებებს. ისე მოქმედებენ, თითქოს ამ მკვიდრი კულტურის ნაშიერნი არ იყვნენ.

მე მესმის რა მიზეზით ხდება ასე. განა ჯერ ჩვენმა წინა თაობამ და შემდგომ ჩვენ არ დავანგრიეთ, რაც ყველაზე ძლიერად, სრულფასოვნად და ნატიფადაც ასახიერებდა თბილისს? იყო უმშვენიერესი ილუსტრაცია თბილისის შემქმნელთა განსაკუთრებული შეგრძნებებისა, განსაკუთრებული დამოკიდებულებებისა ერთმანეთთან — მოქალაქეებთან.

ისტორიული თბილისის ურბანისტული ქსოვილიდან ამოვგლიჯეთ უმთავრესი. დავარღვიეთ სიმწყობრე, მოვსპეთ სიმკვრივე. თბილისურ სურათში წავშალეთ ის ადგილი, რომელიც მის უპირველეს გამოსაცნობ ნიშანს, თბილისელთა სულიერი ღირებულების უმშვენიერეს ილუსტრაციას წარმოადგენდა. ეს ყოველივე განსაკუთრებით ენერგიულად განხორციელდა მეტეხსა და სიონს შორის, ესე იგი ქალაქის იმ მონაკვეთში, რომელიც დიდი თბილისისათვის „ცომის დედა" უნდა გამხდარიყო. იქ, სადაც იყო თბილისის გული, რომლის ძგერის რიტმი მხოლოდ და მხოლოდ „თბილისური" იყო. შედეგმაც არ დააყოვნა და თავი იჩინა უკვე მეორე თაობაში, ვინაიდან განადგურდა შემდგომ თაობათა ფსიქიკური წყობის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ბაზისი. აქ არაფერია გასაკვირი. ვის დროსაც „კატაკლიზმი" მოხდა, მისთვის ძველის შესისხლხორცებული ღირებულებები სიკვდილამდე მთავარი დარჩა, ხოლო ახალი თაობებისათვის — ამ ღირებულებათა დამნერგავი და ამრეკლავიც უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ლეგენდა დარჩა, ვინაიდან გაქრა თვალით დასანახი და სხეულით შესაგრძნობი გარემო, სადაც მუშაობდა ადამიანთა შორის ურთიერთობის მხოლოდ და მხოლოდ თბილისური წესი.

განსჯა

საბედნიეროდ, სიცოცხლე არ წყდება, საზოგადოება ვითარდება. ჩნდება ახალი საშუალებანი, რომელთა მეშვეობით იქმნება ადამიანის არსებობისათვის უფრო კომფორტული პირობები, რომლებსაც შესატყვისი ორგანიზმი და გარეგნული იერსახეც აქვთ. ასეთია ცხოვრების კანონი. ასეთი რამ მოხდება თბილისში.

უკვე დღეს, თბილისში დღის წესრიგშია თანამედროვე სახვალიო საქმიანი უბნების ფორმირების ამოცანა. აშენდება ბევრი ახალი, თანამედროვე სტრუქტურის ნაგებობა. რეკონსტრუქცია-ადაპტაციას დაექვემდებარება ზოგიერთი ძველი შენობაც. ასეთი ვითარება გარდაუვალია. საქმე ის არის, სად განთავსდება ახალი, რის სანაცვლოდ, რა გავლენას მოახდენს იგი საზოგადოების გენეტიკურ ფსიქიკურ წყობაზე? ჩვენზეა დამოკიდებული, რა დოზით, რა ფორმით და სად გაჯერდება ეს „ახალი" „ძველთან", რამდენად იქნება ეს „ახალი" შედეგი საკუთარი განვითარებისა და სრულყოფისა?

დროის მოტანილი სტილიც ზოგადსაკაცობრიო მოვლენაა. მას შეუძლია თუნდაც მოდის გამო დამკვიდრება კონკრეტული კულტურის გარემოში. თუ ჩვენ შევძლებთ მოდის ინტეგრირებას ისტორიულად მყარ კულტურასთან, მაშინ იგი აბორიგენული კულტურის ძირითადი ნიშნებისა და სულის მატარებელი გახდება. ასე იყო თბილისში, როცა ბანიანი სახლი შეიცვალა კოშკურით, კოშკურა სახლი შეიცვალა შემოსავლიანი სახლის ტიპით, როცა კვლავ შეგვექმნა პირობა ევროპისაკენ გაგვეხედა და გაგვეთავისებინა კლასიციზმი და მოდერნიც კი. ყოველივე ეს მოხდა დროის უმცირეს მონაკვეთში, უმტკივნეულოდ, დანაკარგის გარეშე, ვინაიდან ჯერ კიდევ ცოცხლობდა ჩვეული ქალაქმშენებლობითი იდეოლოგია და შესატყვისი ყოფითი ტრადიციები.

თბილისი ოდითგანვე ხასიათდებოდა მკაფიოდ გამოხატული ურბანისეული სტრუქტურით, რომლის მხატვრულ სივრცობრივ სახეს და მასშტაბს, უმშვენიერეს ლანდშაფტებთან ერთად, განსაზღვრავდა ეკლესიათა აზიდული გუმბათები, დიდი მოცულობის ქარვასლები, ყოველივე ეს ჩაფლული იყო საცხოვრებელი სახლების განაშენიანებაში. თვით საცხოვრებელი სახლები კი ნახევარ ატრიუმული ეზოებით, ლამაზად გაწყობილი აივნებითა და სალაყბოებით საუკეთესო პირობებს ქმნიდა ადამიანთა ურთიერთობაში ტოლერანტულ დამოკიდებულებათა პრივატის ბატონობისათვის. ასეთმა თბილისელებმა შექმნეს თბილისი, რომელმაც ასეთივე თბილისელები გაზარდა.

მჯერა, რომ თუკი მოვახდენთ საკუთარი ქალაქმშენებლობითი კულტურის რეანიმაციას იმ ზონაში, სადაც ის ჩამოყალიბდა, ჩვენშიც, კერძოდ, თბილისშიც, კვლავ სრულად ამოქმედდება „უარყოფის უარყოფის" მარადიული კანონი — ძველი თვისება წარმოშობს ახალს, ახალი ძველდება. უარყოფს თავის თავს, ჰქმნის ახალს, რომლის ძარღვებშიც იგივე სისხლი და სხეულში იგივე სული ცოცხლობს; და თუ არ განხორციელდა რეანიმაცია ხსენებული ეროვნული განძისა, მაშინ ახლის აღმოცენება მოხდება იმ „ახალზე", ე. ი. უცხოზე, რომელიც ჩვენში დამკვიდრდა. შედეგიც ადვილად წარმოსადგენი იქნება: აშენდება ბევრი, ალბათ, ძვირადღირებულიც და გამძლეც, შესაძლოა თავისთავად კარგიც, მაგრამ ვისი? ვის სულსა და კულტურას ასაზრდოებს? რა შეეწირება ამას? მჯერა, რომ ასე არ მოხდება. მჯერა, რომ აღსდგება „გოფილექტის" ბაღიც, სასტუმრო „თბილისის" კაფეც, სახაშეც „მეიდანზე", მეტეხთან სასახლეც. აქვე მტკვარზე აშენდება თანამედროვე „ქარვასლები" და სხვა თბილისური ობიექტები. შეიქმნება ახალი ფონური განაშენიანება დროისა და ფუნქციის შესატყვისი ფორმით — პლასტიკითა და ფაქტურით, რომელიც აღმოცენდება ჩვენი წინაპრების შექმნილ კულტურაზე და თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევათა ნიადაგზე.

ყოველივე ეს მოხდება ისევე, როგორც მოხდა XIX-XX საუკუნის პირველ ათწლეულში. ჩვენთან, ჩვენს თბილისში.

გიგა ბათიაშვილი.

სურათზე: „თბილისის გულის" ქსოვილის რეანიმაციის ავტორისეული ესე.



განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის დეპარტამენტი მინისტრთა კაბინეტის 18.02.93 წ. № 146 დადგენილების, 17.II.93 წ. № 6 გადაწყვეტილების და გაზეთ „თბილისში" ა. წ. 24-25 იანვრის ნომრებში გამოქვეყნებული სასარგებლო წიაღისეულის სალიცენზიო ობიექტების ნუსხის თანახმად გაცნობებთ, ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას, რომ აპრილის თვეში შედგება შემდეგი საბადოების ლიცენზირების საკითხის საკონკურსო განხილვა:

1. ცაგერის რ-ნის სოფ. ორხევის წყაროს წყალი
2. ხარაგაულის რაიონის მარელისის წყაროს წყალი
3. ჩოხატაურის რ-ნის ცხრაწყაროს წყალი
4. ჩოხატაურის რ-ნის „ქვაბლას" წყაროს წყალი
5. სასხორის სააგურე თიხის საბადო (მცხეთის რ-ნი)
6. გუნიაკალის ვულკანური წიდა (წალკის რ-ნი)
7. შრომის მარმარილოსებური კირქვა (ზესტაფონის რ-ნი)
8. ძიროვანის გიშერის საბადო (ტყიბულის რ-ნი)
9. ჭყვიშის ქვიშა-ხრეშის საბადო (ვანის რ-ნი)
10. გუჯარეთის ვულკანური წიდა (ბორჯომის რ-ნი)
11. მილარის სააგურე თიხის საბადო (დედოფლის წყაროს რ-ნი)
12. ვეძათწყაროს მარმარილოს საბადო (ყაზბეგის რ-ნი)
13. ჭიჭარეთის მარმარილოსებური კირქვის საბადო (ტყიბულის რ-ნი)
14. ჯიგრაშენის ბაზალტის საბადო (მარნეულის რ-ნი)

შენიშვნა: ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტებზე განცხადებების მიღება შეწყვეტილია.

ამავე დროს გაცნობებთ, რომ მაისის თვეში ნავარაუდევია სალიცენზიო კონკურსების ჩატარება შემდეგ ობიექტებზე:

1. კოკოტაურის მინერალური წყაროს წყალი (ქედის რ-ნი)
2. ონის რ-ნის მინერალური წყალი „უწერა"
3. ბოლნისის რ-ნის მინერალური წყალი „ბოლნისი"
4. გიაურ-არხის ტუფის ქვის საბადო (მარნეულის რ-ნი)
5. ქარელის რ-ნის დიგომის წყაროს წყალი
6. მდ.ცხენისწყლის ფილტრატები (მარტვილის რ-ნი)
7. ჩოხატაურის რ-ნის ჩხაკაურას წყაროს წყალი
8. მტკნარი წყლის ბურღილი მუხრანის ველზე სოფ. წილკანი (მცხეთის რ-ნი)
9. გორის რ-ნის ბიისის წყაროს წყალი
10. ჭიათურის რ-ნის წყაროს წყალი რგანის ხეობაში
11. ფარავნის პერლიტების საბადო (ნინოწმინდის რ-ნი)
12. ბუკნარ-ნაბაკევის თიხის საბადო (სამტრედიის რ-ნი)
13. ხორხის I და ხორხის II დიაბაზების საბადო (მარტვილის .რ-ნი)
14. თუხის ცარცის საბადო (თერჯოლის რ-ნი)
15. ტეხურის პირის ქვიშა-ხრეშის საბადო (სენაკის რ-ნი)
16. კავთისხევის ქვიშა-ხრეშის საბადო (კასპის რ-ნი)
17. კავთისხევის სასმელი წყალი (კასპის რ-ნი)
18. არაგვისპირა სააგურე თიხის საბადო (დუშეთის რ-ნი)
19. ნაესაკოს თიხის საბადო (აბაშის რ-ნი)
20. ნიჩბისის ქვიშა-ხრეშის საბადო (მცხეთის რ-ნი)
21. კავერის გაბრო-დიაბაზის საბადო (კასპის რ-ნი)

შენიშვნა: ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტებზე განცხადებების მიღება შეწყდება ა.წ. 20 აპრილს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ გეოლოგიის დეპარტამენტს.

მისამართი:
თბილისი, 380030, მოსაშვილის ქ. № 24
ტელ: 22-63-21

— თუ თქვენ უფრთხილდებით თქვენს ჯანმრთელობას;
— თუ თქვენ არც ისე მდიდარი ხართ, რომ შეიძინოთ იაფფასიანი და მდარე ხარისხის საქონელი;
— თუ მისდევთ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ ძუნწი ყოველთვის ორმაგად იხარჯება;
— მაშინ თქვენ ნამდვილად ჩვენი მომხმარებელი ბრძანდებით და

სავაჭრო სახლი „გულანი"

საბითუმო და მცირე საბითუმო პარტიებად გთავაზობთ:

— უმაღლესი ხარისხის (ევროსტანდარტის და ფიტოსანიტარული სერთიფიკატის მქონე) რაფინირებულ ნამდვილ მზესუმზირის ზეთს „ოლინ"-ს 1 ლიტრიან პლასტმასის ბოთლებში. ფასი ერთი ბოთლის 1,2 $-ის ექვივალენტი.
— ფირმა „ფილიპსის" 60 ვატიან, 75 ვატიან და 100 ვატიან ნათურებს;
(„ფილიპსის" ნათურები ერევნის წარმოების ნათურებს რამდენად სჯობია, თვითონ დარწმუნდებით); ფასი ერთი ნათურის 0,4 $-ის ექვივალენტი.
— ფირმა „დიფაუის" კბილის ჯაგრისებს; ფასი ერთი ჯაგრისის 0,4 $-ის ექვივალენტი;
— პირველად საქართველოში — ფირმა „ნოვა"-ს ევროსტანდარტის ნამდვილ ტუალეტის ქაღალდს; ფასი ერთი რულონის 0,28 $-ის ექვივალენტი;
— მანქანის გატაცების საწინააღმდეგო მექანიკურ ეფექტურ ჩამკეტ მოწყობილობას. ფასი ერთი საკეტის 18 $-ის ექვივალენტი;

ანგარიშსწორების ფორმა ნებისმიერი, დიდ საბითუმო პარტიებზე მნიშვნელოვანი ფასდაკლებაა..
ცნობებისათვის დარეკეთ 22-13-26, 98-92-66
ჩვენი მისამართია: მელიქიშვილის ქ. № 12 ბიზნეს-ცენტრი „საქართველო"
(სასტუმრო „საქართველოს" შენობა) III სართული.

გახსოვდეთ, სავაჭრო სახლი „გულანი" მხოლოდ ხარისხიანი საქონლით ვაჭრობს!
ველით ნამდვილ მყიდველებს!

სამედიცინო სამეცნიერო ფირმა „კონტაქტი" აცხადებს

პატივცემულო მოქალაქენო! თუ თქვენ გაწუხებთ ისეთი დაავადებები, როგორებიცაა მასტიტები, კანის ჩირქოვანი პროცესები (ფურუნკული, კარბუნკული) და კანის სხვა დაავადებები, ბუასილი, დამწვრობა, მიმართეთ ჩვენი ფირმის სამედიცინო კაბინეტს. აქ აპრობირებული მალამოები უებარი საშუალებაა ამ დაავადებათა სამკურნალოდ. მკურნალობის შედეგები გარანტირებულია.

- მიღება: სამუშაო დღეებში: 15-დან 17 საათამდე.

შაბათს: 11-დან 13 საათამდე.
ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი. ალ. ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის ქუჩა) ჩიხი № 3 I სართული (მეტრო დელისთან) ყოფილი მე-18 პოლიკლინიკა).
ტელ: 39-31-87.

სამედიცინო სამეცნიერო ფირმა „კონტაქტი".

გთავაზობთ

უნაღდო ანგარიშსწორებით საწერ და საბეჭდ ქაღალდს
(ფორმატი A8) ადგილზე მიწოდებით.

☎ 38-91-64

ვყიდი

3 ოთახიან ბინას
თემქის მ.რ.
ფასი: 4300 დოლარი,
ტელ: 39-68-74,
72-27-58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრების სარკეში

პირველი შთაბეჭდილება ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე
გურამ ფანჯიკიძის „ეშმაკის ბორბლის“ გამოქვეყნების გამო

ვისაც მოუკლავს...

რომან „თვალი პატიოსანის“ ავტორი გურამ ფანჯიკიძე ერთი იმ მწერალთაგანია, ვინც ეროვნული და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ხმა მაშინ აღიმაღლა, როცა ეს არცთუ ისე ადვილი საქმე იყო, როცა ის პიროვნების ყოფნა-არყოფნას უკავშირდებოდა.

მე მახსოვს მწერალთა კავშირში გამართული კრება, ვგონებ, სამოციანი წლების ბოლოს, რომელზედაც ხელისუფლების ხაზის განუხრელად გამტარებელმა პირებმა სასტიკად გააკრიტიკეს გურამ ფანჯიკიძის რომანი „თვალი პატიოსანი“. ეს რომანი, სრულიად ახალგაზრდა მწერლის კალამს რომ ეკუთვნოდა, ვერ თავსდებოდა სოციალისტური რეალიზმის მოთხოვნათა ფარგლებში. მწერალი თავისი თანამედროვე სოციალური ყოფის შეურიგებელი კრიტიკით გამოდიოდა, სოციალისტური სინამდვილის აქამდე ხელუხლებელ სიღრმეებს იკვლევდა და დასკვნებიც პირუთვნელი გამოჰქონდა.

ცოტა თუ ვინმე ცხოვრობდა მაშინ იმ ცხოვრებით, როგორც გურამ ფანჯიკიძემ იცხოვრა, ცოტა თუ ვინმე ბედავდა სიმართლისათვის თვალი გაესწორებინა და ეს სიმართლე ხალხის გასაგონად ხმამაღლა ეთქვა!

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, გურამ ფანჯიკიძემ არა ერთი და ორი ახალი ნაწარმოები გამოაქვეყნა და თავისი კუთვნილი ადგილიც დაიკავა მადლიერი მკითხველის გულში. და აი, შარშან, ამ უქაღალდობისა და ჯიბექესტობის ჟამს, ჟურნალმა „მნათობმა“ გამოაქვეყნა მწერლის ახალი რომანი „ეშმაკის ბორბალი“. ისიც, როგორც გურამ ფანჯიკიძის ყველა სხვა ნაწარმოები, მხატვრული თუ პუბლიცისტური, თანამედროვეობის უმწვავეს პრობლემებს ეხება. მე შეუნელებელი ინტერესით წავიკითხე ეს საკმაოდ სქელტანიანი რომანი და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ გურამ ფანჯიკიძის სახით ქართველ ხალხს ერთი ფრიად ნიჭიერი, ნათლად მოაზროვნე, ალღოიანი, ყოველგვარი უზნეობის წინააღმდეგ წარბშეუხრელად მებრძოლი მწერალი ჰყავს.

რომანს საფუძვლად უდევს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ამბავი, რომლის ერთ-ერთი მონაწილე ოდესღაც მეც ვიყავი.

ამ მცირე გამოხმაურებაში მე მიზნად არ დამისახავს ვრცელი რომანის მხატვრული ქსოვილი თავიდან ბოლომდე განვიხილო. ამას გაცილებით მეტი დრო, ძალისხმევა და ადგილი დასჭირდებოდა. გავიხსენებ მხოლოდ ერთ ადგილს, რომელშიაც ასახულია ნიკიტა ხრუშჩოვისა და მისი ოჯახის ჩამოსვლა საქართველოში 1956 წლის ტრაგედიის შემდეგ.

გადაუჭარბებლივ შეიძლება ითქვას, რომ კრწანისის ეპიზოდები, სადაც აღწერილია ლაგამაწყვეტილ იმპერატორ ხრუშჩოვის და ვასილ მჟავანაძის „სამახსოვრო“ შეხვედრა, შედევრის დონეზეა შესრულებული და მე არ შემიძლია, ჩემს უმცროს კოლეგას არ შევძახო: ბარაქალა, ძვირფასო გურამ, გული კი გვატკინე ჩვენი უსასოო მდგომარეობის ცოცხლად წარმოსახვით, მაგრამ რამოდენა სიმართლე თქვი, როგორ ბრწყინავს სიმართლე შენს სიტყვაში!

საჟურნალო პუბლიკაციის შემდეგ, სანამ ცალკე წიგნად გამოიცემოდეს, რომანის ზოგიერთ ადგილს კრიტიკული თვალით გადახედვა დასჭირდება, რათა ის სრულყოფილი და შთამბეჭდავი გახდეს, მაგრამ ამთავითვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მწერალმა გაიმარჯვა, ახდა ხალხის წიაღიდან გამოსული გენიის სიტყვები: „ვისაც მოუკლავს, ის მოუკლავს ნადირსა შავის ტყისასა!“

რევაზ ჯაფარიძე,
29 მარტი, 1994 წ.

ერთი მოსუნთქვით

გურამ ფანჯიკიძის ახალი რომანი „ეშმაკის ბორბალი“ ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. ახლო მომავალში კვლავ დავუბრუნდები მას. ეს ისეთი თხზულებაა, რომელსაც (მეტადრე მის მრავალ პასაჟს) ერთი წაკითხვა არ ყოფნის.

მისი ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური, აგრეთვე ცხოვრებისეული, მეტიც — სადღეისოდ საზრუნავი დატვირთვა უზარმაზარია... იმედია, არცთუ დიდი ხანი გავა და მრავალ ენაზე თარგმნილი ეს წიგნი, უთუოდ პირველთა შორის იქნება მოწინავე მსოფლიოს იმ თხზულებებში, რომლებიც ღირსეულად და სათანადო სისავსით ასახავენ შთამომავლობისათვის ჩვენი არნახულად ურთულესი ეპოქის მოაზროვნე ადამიანთა სულიერ სამყაროში და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს.

ევგენი ხარაძე,
აკადემიკოსი.
12.03.94

ეშმაკის ბორბლის შეჩერება შეუძლებელია

გურამ ფანჯიკიძის ახალი რომანი „ეშმაკის ბორბალი“ ისტორიის ასპარეზიდან გასული რკინის ეპოქის ამსახველი დიდი მხატვრული დოკუმენტია; არტისტულად გაწნული სილის შესადარი. ეს იყო დრო, როცა ადამიანი ადამიანისათვის არა უბრალოდ მგელი იყო, როგორც ჰობსი ამბობდა, არამედ „ამხანაგი მგელი“. სწორედ ამ ამხანაგი მგლის (ცხვრის ქურქიანისა თუ ქეჩოაშლილის) რთული ბუნების ამოცნობას ეძღვნება ეს სულის ამწეწავი რომანი.

სათაურში ორი პლანის სიმბოლიკა იკითხება: რეალისტური და მეტაფიზიკური. პირველის მიხედვით, ეშმაკის ბორბლითაა გადასრესილ-გადათქერილი მაღალი კატეგორიის ღირებულებანი და იდეალები. მეორის მიხედვით, ეშმაკის ბორბლის ტრიალი ხშირად აუხსნელია და მოაზროვნე ადამიანებს ეჭვი ებადებათ — თითქოს დედამიწაზე მიმდინარე მოვლენებს მეტაფიზიკური ძალები განაგებდეს. რკინის ეპოქის — თიხის ფეხებზე შემდგარი ამ გოლიათის — მსხვრევა ზოგისთვის პირადი ტრაგედია იყო, ზოგისთვის სულიერი შვება. ავტორი დეტალურად არ ხატავს ამ ეპოქის დიდ მოვლენებს, ამბებსა და კოლიზიებს, შედეგს კი დიდს აღწევს. იმიტომ რომ, მან საგანგებოდ შეარჩია ეპოქის ყველაზე უფრო საგულისხმო ნამსხვრევები, ეპიზოდები, შემთხვევები და დეტალები. გადაიტანა ისინი ადამიანის სულში და სხვადასხვა ხედვის წერტილიდან მოგვცა მათი ფსიქო-ფილოსოფიური ანალიზი.

ეს ანალიზი მტკივნეულია, თვითგვემასა და თვითგასამართლებას უდრის. სწორედ ამ ანალიზის დროს წარმოჩნდება ავტორის უზადო ცოდნა ადამიანთა ბუნებისა. ამ რომანმა ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ ჭეშმარიტი მწერლობა ადამიანისმცოდნეობაა. გურამ ფანჯიკიძის ლაზერული ხედვა ულმობლად აშიშვლებს ადამიანის სულისა და ქვეცნობიერის ცხრა ბეჭდით დალუქულ ბნელ პლასტებს და, როგორც სწავლულები ამბობენ, „სულში ჩაბრუნებული მზერით“ ესთეტიკურ ფენომენად აქცევს ცხოვრებისეული მოვლენებისა თუ ადამიანთა რთული ურთიერთობების შეცნობას.

დიახ, გარესამყარო თავისი მოვლენებით, დღევანდელობითა და წარსულით სარკესავით იმსხვრევა პიროვნების შიდა სამყაროში. იმსხვრევა მრავალ მოგონებად... განცდებად, კითხვებად, სულიერ ჭრილობებად და მათი შეგროვება-შეკოწიწებით იქმნება ალაგ-ალაგ წყვეტილი კონვულსიური სიუჟეტი.

რომანი შეუნელებელი ინტერესით იკითხება და მხატვრული სალებავების წყალობით შემოქმედებითი სიხარულის მომგვრელია. ავტორმა სინდისის სამსჯავროზე გამოიტანა კაცთა მრავალი და მრავალი ხინჯი, შეცოდება, დანაშაული, ბრალდება, მხილება; ღრმად ჩააფიქრა მკითხველი და ტანჯვით მოგვრილ ჭეშმარიტებას აზიარა. რომანი ამ მხრივ სულიერი კათარზისის როლს ასრულებს. თანამედროვე ბელეტრისტიკა თავის განვითარებაში ადამიანის სულის რენტგენამდე მივიდა. მთავარია, არა საგნისა და მოვლენის გარეგნული აღწერა, არამედ რას განიცდის და რას ფიქრობს „მოაზროვნე ლერწამი“.

„ეშმაკის ბორბალმა“ უარყო ფორმულა ზარბაზნების ქუხილისა და მუზათა დუმილის თაობაზე. მაგრამ ერთი კი ცხადია: ზარბაზნების ქუხილის დროს მუზათა შეგონებას, სამწუხაროდ, ექო და რეზონანსი ეკარგება. ამ დროს გულისყურიანი მკითხველი ცოტაა და მხატვრულ-ფილოსოფიური ნააზრევის ათვისებისათვის არც დრო აქვს და არც განწყობილება. რომანის მორალი ასეთია: ეშმაკის ბორბალში ციყვივით ერთ ადგილზე სირბილს, ანუ თავის მოტყუებას, ბორბალში დაღუპვა ანუ ვაჟკაცური თვითმკვლელობა სჯობს!

ალბათ პროფესიონალი-კრიტიკოსები ოდესმე მოიცლიან ამ შესანიშნავი რომანის ჯეროვანი შეფასებისათვის.

შოთა ნიშნიანიძე.

დიდებული ფილმი გამოვიდოდა

დიდი ინტერესით წავიკითხე გურამ ფანჯიკიძის ახალი რომანი „ეშმაკის ბორბალი“, რომელიც ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა. რომანი, ჩემი აზრით, ერთ-ერთი საინტერესო მოვლენაა უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში.

ნაწარმოებში მწვავედ იგრძნობა ჩვენი ეპოქის სუნთქვა. მისი მთავარი პერსონაჟი არჩილ გორდელი ზედგამოჭრილი „ჩვენი დროის გმირია“. ჩვენ თვალწინ კალეიდოსკოპური სისწრაფით გაივლის არჩილ გორდელის მთელი ცხოვრება, ბავშვობიდან — ტრაგიკულ ფინალამდე. ეს ცხოვრება აღსავსეა უპრინციპობითა და კომპრომისებით. თავისი მიზნების მისაღწევად იგი მზად არის ჩაიდინოს ნებისმიერი უსინდისობა, გაწიროს სიყვარული, მეგობრობა, საკუთარი თავმოყვარეობა. იგი ქართული კონფორმიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. არჩილ გორდელის ცოდვილ სულში მართლაც რომ ეშმაკის ბორბალი ტრიალებს, ბორბალი, რომელმაც მილიონობით ადამიანის სულიერი სამყარო დაასახიჩრა და შეიწირა. რომანის ანალიზი პროფესიონალ ლიტერატორთა კრიტიკისათვის მიმინდვია, მე კი, როგორც რეჟისორი, ვიტყოდი, რომ ამ წიგნის მიხედვით საინტერესო მრავალსერიიანი ფილმის გადაღება შეიძლება.

რომანი აღსავსეა საინტერესო სახეებით, რაც მდიდარი მასალა იქნება მსახიობებისათვის, აგებულია მძაფრ სიუჟეტზე, იგი სულმოუთქმელად იკითხება. სულით და გულით მივესალმები გურამ ფანჯიკიძის ახალი რომანის დაბადებას. მას დიდი გზა აქვს წინ, შეიძლება კინემატოგრაფიულიც, ვინ იცის! იქნებ ეს დროც მოვიდეს და რეჟისორის ეს ნატვრა რეალობად იქცეს!

გიგა ლორთქიფანიძე.

გორდელების ოჯახის საგა

ჩემის აზრით, გურამ ფანჯიკიძის რომანი „ეშმაკის ბორბალი“, რომელიც შარშან ჟურნალ „მნათობის“ 1-5 ნომრებში გამოქვეყნდა, გორდელების ოჯახის საგაა — დაუნდობელი სიმართლითა და ყოვლისმომცველობით დაწერილი. რომანს წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი და ავტორი თითქოს იმთავითვე გვაფრთხილებს ან თუ გინდა გვახსენებს ეკლესიასტეს სიტყვებს: „რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება, არაფერია მზის ქვეშ ახალი“. ეს ბიბლიური სიბრძნე მიგვანიშნებს ცხოვრების მარადიულ წრებრუნვაზე და კიდევ იმას, რომ ეშმაკის ბორბალიც ცხოვრებისა თუ საწუთროს ან წრეში თავისთავად ტრიალებს.

რომანის ერთ-ერთი პირველი მკითხველთაგანი მე გახლდით, იგი ხელნაწერშივე წავიკითხე და ახლაც გამოკვეთილად მახსოვს ის გრძნობა, რომელიც თავიდანვე დამეუფლა და ბოლომდე არ გამნელებია. ეს იყო შინაგანი განგაშის გრძნობა. რომანის კითხვისას პირველი გვერდებიდანვე მკითხველს თანდათან იპყრობს თითქოს გაუცნობიერებელი მოუსვენრობა თუ შეშფოთება, ჯერ არჩილ გორდელის, მერმე მისი წინაპრების, მისი ოჯახის, ხოლო შემდეგ საერთოდ ადამიანებისა და ქვეყნის ბედის გამო. მე ვერ ავხსნი, როგორ ახერხებს ამას ავტორი, ეს მისი ოსტატობისა და მაღალნიჭიერების საიდუმლოა.

„ეშმაკის ბორბალი“ სულმოუთქმელად იკითხება, როგორც დეტექტივი, თუმცა იგი, ცხადია, დეტექტივი არ გახლავთ, იგი ღრმა, ფსიქოლოგიური რომანია, რომელშიც უამრავი ადამიანი თავისი ტკივილებით, თავისი სიხარულით, საზრუნავით, თავისი მზაკვრობით, გაუტანლობით, ერთი სიტყვით — ათასგვარი უკუღმართობით ცოცხლობს. და ეს ადამიანები, ყველანი უკლებლივ, გარკვეული ეპოქისა თუ დროის შვილები არიან, აღბეჭდილები სწორედ ამ ეპოქის ნიშნით, სწორედ ამ ეპოქის ნიშით დაღდასმულები. რა თქმა უნდა, სიხარული ყველა დროის სიხარულია და ტკივილი ყველა დროის ტკივილია, მაგრამ გურამ ფანჯიკიძის ოსტატობა იმით არის გამძლავრებული, რომ იგი ახერხებს ტკივილსაც და სიხარულსაც, სიკეთესაც და ბოროტებასაც ეპოქის, დროის დაღი დაასვას, ვთქვათ, დღევანდელი მზაკვრობა გასული საუკუნეების მზაკვრობისაგან განსხვავებული ნიშნით აღბეჭდოს. რომანს ერთგვარად კინემატოგრაფიული იერიც დაჰკრავს, მრავალი პასაჟი ისე ნათლად არის დახატული, იმდენად ფერადოვნად და ხელშესახებად, რომ შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს შენ თვალწინ კინოკადრებმა გაიელვა.

გურამ ფანჯიკიძეს ამ რომანის წაკითხვისთანავე მივულოცე გამარჯვება, ამჯერად კი მკითხველს ვურჩევ, ვიდრე „ეშმაკის ბორბალი“ ცალკე წიგნად გამოიცემა, მონახოს „მნათობის“ ის ნომრები, რომელშიც ეს რომანია გამოქვეყნებული.

არჩილ სულაკაური.

როცა გული გულობს

ზოგიერთი მწერალი თავის შემოქმედებით პასიურობას ქვეყნის სამარი და სავალალო ვითარებითა ხსნის, სხვებიც არიან. მათ შორის პარლამენტარებიც, იმ აზრს რომ მისდევენ, რა დროს კულტურა და მწერლობაა. სამწუხაროდ, მათ არ სურთ დაინახონ ქართველი მწერლების ჭეშმარიტად მამულიშვილური, მოქალაქეობრივი სულისკვეთებით სა[illegible] საზოგადოებრივი თუ პროფესიული საქმიანობა, არც პუბლიცისტური სიტყვა ესმით, არც მხატვრული აინტერესებთ.

დიახ, ის მწერლები, ვისი გულიც გულობს, საქართველოს სამსახურში, ხალხის გვერდით თუ შუაგულში, ერის ღირსების სადარაჯოზე დგანან. ჩვენდა საბედნიეროდ, ისინი საკმაოდ მრავლად არიან, ხოლო ამის საუკეთესო სარწმუნო მაგალითად გურამ ფანჯიკიძეც იკმარებს, ვინც ერთდროულად ქართველ მწერალთა ოჯახსაც ემსახურება, ვითარცა კავშირის თავმჯდომარე, პუბლიცისტური სიტყვითაც ქუხს დღევანდელ სატკივრებზე, იარაღით ხელშიც იბრძვის მომხდურებთან და... თქვენ წარმოიდგინეთ, ამ გაჭირვების ჟამს ახალ ვრცელ რომანსაც წერს და აქვეყნებს.

ვინ არის არჩილ გორდელი?! ბუნებით სალახანა, სინდის-ნამუსისაგან გარეცხილი, ნაძირალა, ბოროტი სულის პატრონი, კარიერისათვის სულის გამყიდველი თუ?.. თუ თავისი დროის ღვიძლი შვილი, ვისაც უკეთურებასთან ბრძოლის ძალა არ აღმოაჩნდა, ვინც თავგანწირვას ბოროტებასთან შეგუება არჩია? ამ კითხვებზე მკითხველმა თავად უნდა გასცეს პასუხი რომანის ჩათავების შემდეგ. პასუხის მიგნება კი არც ისე იოლი საქმეა, რადგან ჩვენ წინ შიშვლდება არა მარტო გმირი, თავისი განცდებითა და გრძნობებით, არამედ ის ძალებიც, რომლებიც აყალიბებენ გმირის ხასიათსა და სულს.

საერთოდ, ცნობილია, რომ გურამ ფანჯიკიძე მძაფრი სიუჟეტების და ეპიზოდების შეთხზვის ოსტატია, რომელთა მეშვეობითაც ცხოვლად გვაგრძნობინებს და განგვაცდევინებს რეალურ ვითარებას. ამ რომანშიც მწერლის ეს ნიჭი არამცთუ არ გაფერმკრთალდა, კიდევ უფრო მეტად გამოჩნდა. პირდაპირ გასაკვირია, რა ძალა აქვს ასეთი მის თვალს, რომელიც ჩვენი ყოფის იშვიათ დეტალებსაც არ უშვებს მხედველობიდან და, რაც მთავარია, ასე ღრმად სწვდება ადამიანის სულის უშორეს, თავად მისთვის მალულ კუნჭულებსაც კი.

„ეშმაკის ბორბალში“ იმდენი შენიღბული თუ შეუნიღბავი ბოროტებაა ფარული თუ აშკარა მკვლელობებით, გარყვნილებით, ღალატით, სინდის-ნამუსის დაკარგვით, რომ რისი შედეგიც არ უნდა იყოს ეს, სახელმწიფო ტირანიისა თუ პიროვნების ზნეობრივი დაცემისა, შეიძლება სასოწარკვეთამდე მიიყვანოს მკითხველი. სამწუხაროდ, ეს ნაკლებად მიეწერება მხატვრულ გაზვიადებას, ჩვენი თანამედროვე ცხოვრების შემყურეთ და შემსწრეთ ადვილად შეიძლება საბოლოოდ დაგვეკარგოს რწმენა გადარჩენისა.

ყველაზე ადვილი სასოწარკვეთა და ბედს შერიგებაა, მაგრამ ეს დაღუპვის გზაა, ყველაზე რთული სიძნელეებთან ბრძოლის გზაა, სამაგიეროდ ეს გადარჩენის გზაა. ადრე თუ გვიან საზოგადოება გადარჩენის გზას ადგება და ამან მოიყვანა კაცობრიობა დღემდე, ასე რომ, ოპტიმიზმი ვინმეს მიერ მოგონილი რამ კი არ არის, გინდ ცხოვრებაში და გინდ მწერლობაში, იგი რეალური გრძნობა და ძალაა.

„ეშმაკის ბორბალიც“, მიუხედავად მასში დატრიალებული ცოდვა-ბრალისა, ტირანიისა და ძალმომრეობისა, რასაც ბუნებრივად სდევს თან ზნეობრივი დაკნინების და დაცემის საზარელი სურათები, მაინც არ გადაგვიწურავს იმედს, არ გვიკარგავს მომავლის რწმენას. ამის ნათელად აქ გამოკრთის არჩილ გორდელის, ცოდვილი მამის უცოდველი შვილის დათო გორდელის სახე, ვინც მიუტევებს მამას და ისე მიეშურება მომავლისკენ.

გურამ გვერდწითელი.

ინტერვიუ ავტორთან

ახლახანს ჟურნალმა „მნათობმა“ დაამთავრა გურამ ფანჯიკიძის ახალი რომანის — „ეშმაკის ბორბლის“ გამოქვეყნება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი უდავოდ არის შესანიშნავი მიღწევა როგორც მწერლის, ასევე თანამედროვე ქართული მწერლობისა. „ეშმაკის ბორბალი“ არა მარტო მძაფრი პრობლემატიკით, ეპოსური მასშტაბით და რთული სიუჟეტით იქცევს მკითხველის ყურადღებას, არამედ დაძაბული შინაგანი რიტმითა და მხატვრული გამომსახველობითი ხერხების სიახლითაც.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება მწერლის ახალი რომანის ირგვლივ გამოთქმული რამდენიმე მოსაზრება.



ნახევარი კვერცხის ფასი შვიდწლიან შრომაში!

— **ბატონო გურამ! „მნათობმა“ გამოაქვეყნა თქვენი ახალი რომანი „ეშმაკის ბორბალი“. იგი, თამამად შეიძლება ითქვას, ეპოპეაა ჩვენი ცხოვრებისა. როდის დაიწყეთ მისი წერა?**

— შვიდი წლის წინათ. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შვიდი წლის მანძილზე, ყოველდღიურად ვმუშაობდი, ხელს მიშლიდა სამსახური და ბევრი სხვა ვითარება და მოვლენა.

— **რა არის თქვენი რომანის ქვაკუთხედი?**

— ამ შეკითხვაზე პასუხი თვითონ რომანმა უნდა გაგცეთ. თუ ვერ გაგცათ, მაშინ ცუდად ყოფილა საქმე. ხოლო იმათთვის, ვისაც რომანი არ წაუკითხავს, ძალიან მოკლედ შევეცდები განვმარტო ჩემი ჩანაფიქრი. დაბადებით მკვლელები და ფსიქიურად დაავადებული ადამიანები მწერლობის კი არა, მილიციისა და მედიცინის სფეროა. მწერალმა უნდა ასახოს ის მოვლენები, სოციალური გარემო, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ნორმალურ ადამიანზე: მას ან თრგუნავს და უბიძგებს დანაშაულისაკენ, სულიერი გაღატაკებისა და დაცემისაკენ, ან პირიქით, ამაღლებისაკენ.

შევეცადე დამეხატა ადამიანები, რომლებიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ჩამოყალიბდნენ“ სამოცდაათწლოვანი საბჭოთა იმპერიის პერიოდში. შევეცადე მეჩვენებინა მათი სულიერი ევოლუცია სახელმწიფოს განვითარების, გაძლიერებისა და შემდგომ მისი მსხვრევის წლებში. რომანის გმირები არიან ოთხი თაობის წარმომადგენლები, ოთხი განსხვავებული შეხედულების, ფსიქოლოგიისა და სულიერი წყობის ადამიანები. შევეცადე დამეხატა პირველი თაობის ფანატიზმი, მომდევნო, დათრგუნული თაობის შიში და პასიურობა, შემდგომი თაობის სულიერი დაცემა და მეოთხე, სრულიად ახალგაზრდა თაობის ლტოლვა თავისუფლებისა და ამაღლებისაკენ...

ყველა ეს მოვლენა, ბუნებრივია, განპირობებულია კონკრეტული პერიოდის პოლიტიკური სიტუაციებით, პოლიტიკური მარწუხებით, რომელთა მთავარ ამოცანას ადამიანის დათრგუნვა და დამონება წარმოადგენდა.

— **თქვენი ჩანაფიქრი აბსოლუტურად „ავტონომიურია“. თუ ჰქონდა რაიმე ლიტერატურული წანამძღვარი?**

— არავითარი ლიტერატურული წანამძღვარი მას არ ჰქონია. მე ყოველთვის იმ პრობლემებს ვეჭიდები, რომლებიც მაღელვებს და მაწუხებს.

— **თქვენი სტილი, სახეები, ფსიქოლოგიური პორტრეტები, შინაგანი რიტმი, გამომსახველობითი ხერხები უაღრესად თანამედროვეა. არც ამ სფეროში განგიცდიათ ვისიმე გავლენა?**

— წეღან მოგახსენეთ და კიდევ ვიმეორებ, მე არ შემიძლია წავიკითხო წიგნი და შემდეგ იმის მიხედვით დავწერო ნაწარმოები. მე ქაღალდზე გადამაქვს ის, რაც მაწუხებს და მაღელვებს. ფორმას თვითონ სათქმელი მკარნახობს, თუმცა, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ფორმა უნდა შეესაბამებოდეს ეპოქის რიტმს, მის თავისებურებებს. დროსთან შესაბამისობაში იცვლება მხატვრობა, არქიტექტურა, მუსიკა, ბუნებრივია, იცვლება ლიტერატურის გამომსახველობითი ხერხებიც. კარგია და მისასალმებელი, როცა მწერალი განიცდის დროის და არა რომელიმე მწერლის გავლენას.

— **თუ საიდუმლო არ არის, „ეშმაკის ბორბალში“ რამდენი კუპონი მიიღეთ ჰონორარის სახით?**

— 16 ათასი კუპონი — ნახევარი კვერცხის ფასი შვიდწლიან შრომაში! მისი გადაბეჭდვა კი დამიჯდა 700 ათასი კუპონი.

— **წიგნად როდის გამოვა?**

— წიგნი მზად არის დასაბეჭდად. არ არის ქაღალდი. სამი ტონა ქაღალდია საჭირო, რომ წიგნი 5 ათასიანი ტირაჟით გამოვიდეს. ძველებური, 100 ათასიანი ტირაჟები უკვე გარდასულ დღეთა მოგონებაა.

ესაუბრა
გიორგი ლალიაშვილი.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

ოთარ ჭილაძე



პატარა მარიამ ანგელოზო

პატარა მარიამ ანგელოზო,
უთოვლო ზამთარში გაზრდილი
სიცოცხლე მწყურია დაგილოცო
ღვთიშობლის უმანკო სახელივით.
ხმამაღლა იტირე მახარობლად,
რომ ქვეყნის ვარამით მოღლილებმა
ვადიდოთ — უცნობი სამყაროდან
პაწია დედოფლის მოვლინება.
ბერიკაც ბაბუას მომიტევე —
ცხოვრებამ თუ ისე მიმანავლა —
გვირგვინად დაწნული სონეტები
ვერ გიძღვენ მომავალს მიმავალმა.
პატარა მარიამ ანგელოზო,
უთოვლო ზამთარში გაზრდილი
ლამაზი სიცოცხლე დაგილოცოს,
ღვთიშობლის უმანკო სახელივით.
მისამართს წინასწარ მიგასწავლი:
როდესაც შეიძლო სიხარული,
წარსული მოხუცი იასმნის
ბუჩქებქვეშ იგულე მიმალული...
იპოვნი და როცა დაქალდები,
სამშობლოს მშვენებას გივალება —
დახიო ბაბუას ქაღალდები,
უკვდავჰყოფს მას შენი ელვარება.

ქუთაისის მონატრება

ცალკე დავრჩენილვარ საცოდავად,
ძმები სათითაოდ გაკრეფილან,
ერთიც აღარაა ნაცნობთაგან —
მთელი საქართველოს ნაკრებიდან.
ვიდრე უსასმელოდ გამომათრობს
დარდი — წასულების მონდობილი,
მამღვრევს, კიკოსავით მარტოდმარტოს
ბაღის კიდისპირას მოლოდინი.
რაც აქ სიმრწემიდან გვიცნია,
თმაში გაელვებულ სითეთრემდის,
სულში ცხრაიმდენი სიცივეა
ახლა — დაღვრემილი იმერეთის.
მკვდრული მდუმარების დასაფრთხობად
შფოთსაც ჩვეულები რიონივით,
ბაგრატ მეფისეულ სატახტოდან
კი არ გახვეწილან რიარიით...
ყველას გაუსწრია ჰაიჰარად
ჯაჭვისხიდიანი სამოთხიდან,
ზამთრის სუსხიანი ქარისაგან
ჩემსკენ ხეებილა გადმოხრილან;
მათი გირჩებისგან ავდრობაში
კოპიც უთვალავჯერ მტკივებია,
როცა პატარასთვის პატრონტაში
მარტო სატკაცუნო ტყვეებია,
რაც აქ ხუმრობებზე გვიცინია
ღვთიურ აკაკისთან — სიბერემდის,
სულში ცხრაიმდენი სიცივეა
ახლა — ნაღვლიანი იმერეთის.
ყინვის ნამცეცები — გაფიცრული
ქუთუთოებიდან გორდებიან,
თავი მეჩვენება — გარიცხული
უქიმერიონთა ორდენიდან.
მწვანეყვავილასთან მორიდებით
მივალ — საყვედურებლად უფალისთვის,
ეგებ ყმაწვილობისდროინდელი
ხიბლი გამიცოცხლოს ქუთაისმა.
ბნელში ვიბუზები საცოდავად,
ძმები სათითაოდ გაკრეფილან;
ერთიც აღარაა ნაცნობთაგან
მთელი საქართველოს ნაკრებიდან.

გამარჯვების დილის მოლოდინში

„ოხვრა არის შვება უბედურისა...“
ბარათაშვილი.

ვეღარ გავუძლებდი ამდენ
ჯავრსა და მწუხარებას ტიალს,
რომ არ მოველოდე ნათელ
დიდი ზარ-ზეიმის დილას.
მაგრამ გამარჯვების ზარი
სანამ დახარეკი რჩება,
ხიდქვეშ გაფენილი მტკვარიც
როცა ჯავრისაგან შრება
და მძაგს გახანთლული ქამრის
ყელზე ჰალსტუხივით შებმა,
ჩემთვის ქვეყანაზე არის
ოხვრა ერთადერთი შვება.

ვიღაც ვიღაცისთვის ვიღაც

ვიღაც ვიღაცისთვის ვიღაც
ბევრს არ ვაღიარებთ ჩემად,
რადგან გულისკარი ღია
ჩემთვის არასოდეს რჩებათ.
ვინც ამ ჯოჯოხეთშიც მიყვარს,
უნდა შევეკითხო ჯერ მათ:
ვიღაც ვიღაცისთვის ვიღაც
კაცის ჯერჯერობით სჭირათ?

ქუჩაში მომღერალი ბიჭი

ჩვენი ქუჩის ნაპირას
ერთი ცეროდენა ბიჭიც
მღერის ყველას მაგივრად,
ვისაც მათხოვრობა გვეჭირს:
მიფრინავენ მერცხლები,
თუნდა გადავიქცე მერცხლად,
მაინც ვერ გავეცლები
მე ჩემ საქართველოს ვერსად. —
მღერის ბიჭი და მინდა
ტალღა შევაჩერო ქუჩის,
ყველამ, ყველას მაგივრად,
ხურდა ჩავუყაროთ ქუდში.

ძაღლის წელიწადი

„ვაშას“, „გაუმარჯოს“ ძახილს
მოვრჩით, ვიწყებთ ლოცვას.
მაინც გაუმარჯოს ძაღლის
წელიწადის მოსვლას.
ჰგავდეს ამირანის გუშაგს —
მტერ-მოყვარის მცნობი.
ოღონდ, მეშინია — ყურშას
არ შევუყაროთ ცოფი.

რკინის გისოსებიდან...

ქუჩებს, ერთმანეთის ჯიბრზე,
მოსჯარვია გარს ჯვრები,
გიცარიელებენ ჯიბეს
წითელჯვრება ფანჯრები;
ბევრჯერ ძილგატეხილ ყმაწვილს
ვიზეც გიოცნებია,
ახლა ჯანმორღვეულ არწივს
თვლემისმომგვრელ, ხევდიან
წამლებს დედაბერი გაწვდის
რკინის გისოსებიდან.

წვიმა და ძველი სახლი გარეუბანში

სახლის სახურავზე ნაპრალს
წვიმის ეჭივლება ჩქერი,
შავი ელვასავით კლაკნავს
ბზარებს მორღვეული ჭერი.
როგორც შვილდაჭრილი ქალი,
წამლის შუშებივით ანჯღრევს
ავდარს მოყოლილი ქარი
ბევრჯერ ნამტირალევ ფანჯრებს.

მეცხრე სართული

როცა შემთვრალები მთხოვენ:
ლექსი მოგვწყურდაო, ბრძანეთ! —
ტანში გამაჟრჟოლებს ხოლმე
ციებ-ცხელებაზე მწარედ.
უნდათ — გავუტოლო არღანს —
რასაც აღსარებად ვწერდი
და რაც ბედისწერით დამყვა,
როგორც ჯადოსნური წრედი.
ლექსი გვითხარიო, მთხოვენ,
მაგრამ ვეუბნები უარს,
რადგან პოეზია ყოველ
რეგვენს ნამთვრალევზე უყვარს.
ბევრი აქეიფა დახრწნილ
ძვლებზე ლაქიათა კარმა,
პოეტს „თანამემწეს“, „მსახურს“
დიდხანს ეძახოდნენ, კმარა!
ახლა გაოგნებულ თავთან
ფიცი დამიდვია სიმწრის —
ლექსი არასოდეს არ ვთქვა,
სანამ საქართველო იწვის.
ნუ მთხოვთ — სიყმაწვილის ტაძარს
რწმენა გავუცოცხლო მკვდარი,
რითაც გვავიწყდება სხვა ზარს
სკოლის ხმაწკრიალა ზარი.
თანაკლასელები დავრჩით,
ოღონდ შეუძლებელს ნუ მთხოვთ,
ჩემდა ჭირ-ვარამად გაჭრილ
გზას ნუ გადამიჭრით უღვთოდ.
ნუღარ გამაგიჟებთ ნახვამს,
თორემ გამოღება ფანჯრის
და სხვა ქვეყანაში წასვლა
მეცხრე სართულიდან არ ჭირს.

ყინვისას ნაფიქრი

ყინვით გაფითრებულს მაძევს
ფერი დაჟანგული შუშის,
როგორც ნაიარალ ტანზე,
მცივა გაუხარელ სულშიც.
უღვთოდ გათოშილი ვუსმენ
ჩემი ნაფიქრალის ექოს:
სულ მზე მეხატება გულზე,
ოღონდ გაზაფხულმა სჭექოს.
ოღონდ გაყინული გავდნე,
ყველამ შემირცხვინოს ჯიში,
თუ ჩემ სიკვდილამდე სადმე
თავი შევაფარო ჩრდილში.

საწარმოო გაერთიანება «სამთო ქიმია» მომხმარებელს იწვევს ფირმა «ბავშვთა სამყაროში»:
აქ, შეღავათიან ფასებში, როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით შეგიძლიათ შეიძინოთ:

მსოფლიოში სახელგანთქმული ფირმა „სონი ტრინიტრონის“ ფერადი ტელევიზორები. ეს უახლესი ტიპის ტელევიზორები გამოირჩევიან დახვეწილი დიზაინით, გამოსახულებისა და ფერების სიმკვეთრით. ტელევიზორები ორი განზომილებისაა: 84 სმ-იანი დიაგონალისა, რომელიც [illegible] კინოთეატრში ყოფნის განწყობილებას შეგიქმნით ფართო ოჯახისა და შედარებით მოზრდილ [illegible] ოთახებში; ხოლო 64 სმ-იანი დიაგონალისა — თქვენს ბინებს სიმყუდროვის ელფერს შემატებს.

ასევე ცნობილი ფირმა „მაგნავოქსის“ ორკასეტიანი მაგნიტოფონი უნივერსალური სისტემისაა. გამოირჩევა ჩაწერის ხარისხით, ხმის ჟღერადობით. ამავე დროს მოხერხებული და გამძლეა. იგი მუსიკის მოყვარულთათვის მართლაც რომ ძვირფასი შენაძენი იქნება.

პორტატული მცირე ზომის მაგნიტოფონი ყურსასმენით (ფლეიერი), ვფიქრობთ, დააინტერესებთ როგორც ჭაბუკებსა და მუსიკაზე ფანატიკურად შეყვარებულთ. ასევე უცხო ენების შემსწავლელ მსურველთ. მით უმეტეს, რომ ეს მინიატურული მაგნიტოფონი ერთი შეხედვისთანავე მიიპყრობს თქვენს ყურადღებას.

ულტრაგრძელი დიაპაზონის რადიოტელეფონი LTS -708. DK - II მოდელისაა. იგი პირველ რიგში ბიზნესმენებსა და საქმიან ადამიანებს ესაჭიროებათ. რადიოტელეფონს 50-დან 500 კმ რადიუსი მოქმედების ზონა აქვს და მისი საშუალებით შეგიძლიათ სწრაფად, შეუფერხებლად დაუკავშირდეთ პარტნიორებსა და კომპანიონებს.

ინგლისური „მორფ რიჩარდსის“ ფირმის ელექტროუთო დიასახლისებს ნამდვილ თანადგომას გაუწევს. იგი მოხერხებულიცაა, მსუბუქიც და ამავე დროს შეუდარებლად აუთოებს ყველა სახის ქსოვილს.

იტალიური ფირმა „რიზის“ მამაკაცის პალტოები მოდური და ელეგანტურია. შეგიძლიათ აირჩიოთ თქვენთვის სასურველი ფერიც — შავი, ლურჯი, ნაცრისფერი, ჩალისფერი. აქვე იმასაც დავძენთ, რომ ამ სტილის პალტო თვით ამერიკის პრეზიდენტსაც კი აცვია.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ:
34-05-70 — ფირმა „ბავშვთა სამყარო“
34-05-07 — ს. გ. „სამთო ქიმია“

ინფორმაცია

მაღაზიაც ემსახურება

გლდანის რაიონში 8.500 ლტოლვილმა დაიდო ბინა. მათ სპეციალური მაღაზია ემსახურება, უფასოდ ურიგებს შემოსულ ჰუმანურ დახმარებას, რომელსაც, ძირითადად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დანიის, ჰოლანდიის ფირმები აწვდიან საქველმოქმედო საზოგადოება „კარიტასის" მეშვეობით.

მორიგი დახმარება

ევროგაერთიანებამ ჰუმანური დახმარების სახით საქართველოს გამოუყო 100 ათასი ტონა მაზუთი, რომელიც თბილსრესის საჭიროებებისათვის არის გათვალისწინებული. უკვე მიღებულია 40 ათასი ტონა სათბობი. ფირმა „ბი-ერის" თავმჯდომარემ პიერ ორლოვმა, რომელიც განაგებს ჩვენს რესპუბლიკაში ამ სათბობის შემოტანის საკითხებს, აღნიშნა, რომ სათბობის დანარჩენ ნაწილს საქართველო უახლოეს ხანში მიიღებს.

პალატა ეძებს და პოულობს

სააგენტო იბერია იმოწმებს რესპუბლიკის კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმების მასალებს და გვაცნობებს, რომ:

საბაჟოების, ბანკების და გამგეობების შეუთანხმებელი მუშაობის შედეგად, გაუქმდა ზოგიერთი ფირმა, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის დიდი ოდენობით დავალიანებები გააჩნდა.

მაგალითად, ფირმამ „ცისფერი მთები" 1992-93 წლებში დიდ ბრიტანეთში გაიტანა 844,1 ათასი ამერიკული დოლარის ღირებულების 426 ტონა ფერადი ლით[illegible]ი. მიუხედავად იმისა, [illegible] ამ ოპერაციის შედეგა[illegible] ფირმას რესპუბლიკის [illegible]ჯეტში უნდა გადაერი[illegible] 86,9 ათასი ამერიკულ[illegible] დოლარი, ფირმა გაუქმ[illegible] იქნა.

თბი[illegible]ისის აეროპორტის ტერიტორიაზე მდებარე კონფისკაციაქმნილი ნივთების საწყობში წლების განმავლობაში ინახება სამუზეუმო ექსპონატები, რომლებიც შენახვის პირობების უქონლობის გამო ზიანდება.

თბილისის საბაჟო „ისანში" ამოჩენილ იქნა 89 ერთეული, 28 სხვადასხვა დასახელების ნივთი, რომლებიც საბაჟოს თანამშრომელთა მიერ სათანადო აღრიცხვის გარეშე იგზავნებოდა საზღვარგარეთ.

1993 წელს მხოლოდ თბილისის საბაჟოს გავლით, ყოფილ სსრკ ქვეყნებში, ექსპორტირებულია 78 მილიარდი მანეთის პროდუქცია, სანაცვლოდ კი იმპორტირებული 12,8 მილიარდი მანეთის ტვირთები. აღნიშნულ ტვირთებზე გათვალისწინებული საბაჟო გადასახადების გადაუხდელობის მიზეზით რესპუბლიკის ბიუჯეტმა ვერ მიიღო 11,6 მილიარდ მანეთზე მეტი შემოსავალი.

საქართველოს საბაჟოსაგან განსხვავებით, ზემოთაღნიშნული ქვეყნების საბაჟო სამსახურები ჩვენს ორგანიზაციებს გადასახადს ვალუტით ახდევინებენ.

რამდენი დავრჩით?

სააგენტო „იბერიას" ცნობით, დღევანდელი მონაცემებით, ჩვენი ქვეყნიდან, საზღვარგარეთ საცხოვრებლად წავიდა საქართველოს რესპუბლიკის 400.000 მოქალაქე. არაოფიციალური წყაროებით კი, სულ საქართველოდან წასულია 1 მილიონზე მეტი ადამიანი.

3 ლიტრი ბენზინისათვის

რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე ერთ-ერთი უკანონო ფორმირების წევრის გენადი კიკალეიშვილის ბრალდების გამო, რომელმაც ქ. ზუგდიდში 3 ლიტრი ბენზინის გამოძალვის მიზნით მოკლა ზუგდიდის მკვიდრი ჩარგაზია.

სასამართლომ დამნაშავედ ცნო გენადი კიკალეიშვილი და განუსაზღვრა მას განსაკუთრებული ღონისძიება — დახვრეტა.

„მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ"

ცხოვრობდა ასეთი კაცი

1987 წლის დეკემბერში საქართველოს ბავშვთა ექიმების VI ყრილობა გაიმართა. საქართველოს პედიატრიული სამეცნიერო საზოგადოების იმდროინდელი თავმჯდომარის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ირაკლი ფაღავას მცდელობა, ყრილობა დიდი ილიას ხსოვნას მიძღვნოდა, (1987 წელი ი. ჭავჭავაძის საიუბილეო წელი იყო), ამაო გამოდგა. ყველაფრის მიუხედავად, ყრილობის პირველსავე დღეს ბატონმა ირაკლიმ გააკეთა მოხსენება თემაზე „ილია ჭავჭავაძე ბავშვის ჯანმრთელობის და აღზრდის შესახებ", რომელიც ასე დაიწყო: „ადამიანის ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური თვისებები მეტ-ნაკლებად ინდივიდუალურია, რაც განპირობებულია თაობიდან თაობამდე მემკვიდრეობით გადაცემულ თვისებათა და შემდგომში ცხოვრების სხვადასხვა პერიოდებში აღქმულ ეგზოგენურ ზემოქმედებათა კომპლექსებით. რასაკვირველია, ამ კომპლექსების თავისებურება, მიმართება და რეალიზაციის ინტენსივობა რელატიურია, ვულგარულ-მატერიალისტურ მსოფლმხედველობაში ეს კომპლექსები პრაგმატიზმის დონეზე რჩება და უკეთეს შემთხვევაში ვიწრო სპეციალობით განისაზღვრება. მეორეს მხრივ, თუ ადამიანი მატერიალისტურ-იდეალური განწყობისაა, განსაკუთრებით თუ ინტელექტის დონე მაღალია, ხოლო ქვეცნობიერი კეთილშობილი, ამგვარ ადამიანებს, ჰერბერტ სპენსერის აზრით, ერის შვილებს უწოდებენ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ფიქრობენ და შეძლებისდაგვარად ეხმარებიან თავის ხალხს ცხოვრების ყველა სფეროში. მათთვის ქვეყანა, დიდი ილიას სიტყვებით, „ტაძარი კი არ არის, სადაც კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, სადაც უნდა იხარჯებოდეს, შრომობდეს და ერის სასარგებლო საქმეს აკეთებდეს. ასეთ ადამიანებს გაცნობიერებული აქვთ, რომ ბრწყინვალე წარსული ერს არას უშველის, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, მეტიც — თუ არ იქედება ერის მომავალი".

ასეთი ადამიანები სულიერად ენათესავებიან ერთმანეთს, და ერთმანეთის სულიერი გაგრძელებანი არიან. თავად ირაკლი ფაღავა, ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი, ქართული ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი, ქართველ მამულიშვილთა რიგებში იდგა და თავისი დიდი მასწავლებლის, ქართული პედიატრიული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პირველი ქართველი პროფესორი პედიატრი ქალის მარიამ უგრელიძის ტრადიციებს აგრძელებდა.

ექვსი წელია ბატონი ირაკლი ჩვენს შორის აღარ არის, მას მერე ბევრი რამ შეიცვალა. უფრო მეტი — უარყოფითისკენ. ასოციალურმა გამოვლინებებმა და დღევანდელმა ყოფიერებამ კვლავ დღის წესრიგში დააყენა „კაცის გაადამიანურების" საკითხი.

საზოგადოების ზნეობრივი რღვევის ინიციალურმა გამოვლინებებმა ბევრად ადრე მიიპყრო მოწინავე ინტელიგენციის და მათ შორის ირაკლი ფაღავას ყურადღებაც. 70-იანი წლებიდან იგი ქმნიდა და აყალიბებდა ბავშვის აღზრდის ეთიკური პრინციპების კონცეფციას. იგი წერდა: „აღზრდის უპირველესი მიზანია ადამიანის მორალის და კულტურისათვის შეუთავსებელი, თანდაყოლილი ინსტიქტების დათრგუნვა. ხოლო ზოგიერთი მათგანის დაქვემდებარება ადამიანის ეთიკური ნორმებისადმი".

დღეს, წლების გადასახედიდან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი შეხედულებანი და სენტენციები „დიდი ოჯახის ფენომენის", იმპრიტინგის ანუ შთამბეჭდაობის, არქეტიპების, „დედის დეფიციტის" „ქართველი ქალის ფენომენის" და სხვათა შესახებ. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა ოჯახური გარემოცვის და განსაკუთრებით კი დედასთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დადებით მნიშვნელობას არა მარტო ინტელექტის და სხვა ფსიქიკური პროცესთა განვითარებაზე, არამედ პიროვნული თვისებების, და, რაც მთავარია, რწმენის ჩამოყალიბების პროცესებისათვის; ბუნებრივი (დედის რძით) კვების განსაკუთრებულ როლზე ბავშვის ჰარმონიული ფსიქო-ბიოლოგიურ და კერძოდ, სექსუალურ განვითარებაში, დადებითი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდა იმას, თუ რა მძიმე შედეგები მოსდევს, ანუ როგორ აფერხებს ბავშვის ფსიქომოტორულ განვითარებას დედის ალერსის და მოვლის ნაკლებობა, რაც უპირატესად მომწიფების პერიოდში სხვადასხვა ასოციალური გამოვლინების სახით იჩენს თავს.

უცხოელი ფსიქო-სომატიკოსებისაგან განსხვავებით, რომლებიც ქვეცნობიერ პროცესებს ძირითადად ფროიდის კონცეფციებიდან გამომდინარე განიხილავდნენ, ირაკლი ფაღავას თაოსნობით და მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1972 წლიდან საფუძველი ეყრება ფსიქიურ პროცესთა შესწავლას სომატურ პათოლოგიაში გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგის დ. უზნაძის განწყობის ფენომენზე დაყრდნობით. ამავე პერიოდიდან იგი კითხულობს ლექციებს ბავშვის ფსიქიკის ასაკობრივ თავისებურებათა, მისი განვითარების სისტემატიზაციის და ფსიქო-სომატური მედიცინის პრობლემატიკის შესახებ პედიატრიაში.

ირაკლი ფაღავა წლების განმავლობაში აქტიურ მუშაობას ეწეოდა დემოგრაფიულ სფეროში. მისი დაკვირვებანი და მოსაზრებანი წარმოდგენილია ნაშრომში, „მრავალი შვილი ერის უკვდავებაა". ნაშრომის პრობლემატიკამ თითქოს აქტუალობა ხელმეორედ შეიძინა დღეს, საქართველოს დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, ამიტომ კარგი იქნებოდა მისი ხელახალი გამოცემა და პოპულარიზაცია.

ირაკლი ფაღავა იყო პატრიოტი, მაგრამ არა ნაციონალისტ-პოპულისტი. ერის მსახურება მხოლოდ საქმით სწამდა და აფასებდა ყველა იმას, ვინც ამ პრინციპით ცხოვრობდა, ერთი დეტალი: დღეს ბევრი იწერება გენერალ გიორგი მაზნიაშვილზე, მის ტრაგიკულ ბედზე. წლების განმავლობაში მის სახელს, როგორც ცნობილია, ტაბუ ედო. მახსოვს, რა გამორჩეული ყურადღებით ექცეოდა ყველა ამ გვარისას — სტუდენტსა თუ პაციენტს — იქნებ გენერალ მაზნიაშვილის შთამომავალია, ქართველი ერი კი ვალშია ამ გვარის წინაშეო.

არასოდეს დამავიწყდება 1978 წლის 14 აპრილი. ბატონი ირაკლის ჯერ შეშფოთებული, შემდგომ კი სიამაყით სავსე თვალები, მისეული შეფასება მომხდარი ფაქტისა — „ეს ჩვენი ახალგაზრდობის გამარჯვების დღეა და ამაში ბატონ ედუარდ შევარდნაძის დამსახურებააო დიდი".

ისევ მოვიდა მისი დაბადების დღე უმისოდ. 71 წლის გახდებოდა.

ბევრი მოასწრო, ბევრიც გასაკეთებელი დარჩა. მოამზადა, მაგრამ ვეღარ გამოსცა მონოგრაფია — „ფსიქო-სომატური პათოლოგია პედიატრიაში". დაიწყო, მაგრამ ვეღარ დაამთავრა მუშაობა წიგნზე „ქართველი ბავშვი" (ბიოფსიქოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებით); ბევრს გაუკვირდება, მაგრამ ფაქტია — გადაწყვეტილი ჰქონდა ქართული საბავშვო ოპერა დაეწერა. ირაკლი ფაღავას კლასიკური მუსიკალური განათლება ჰქონდა მიღებული, კონსერვატორიაში სწავლობდა საკომპოზიტორო ფაკულტეტზე, რომანსების ავტორი იყო, მშვენივრად უკრავდა და მღეროდა.

ბოლოს, დებულება გავიხსენოთ: შეიძლება გახდე მასწავლებელი, დიდად განსწავლული, განათლებული პიროვნება, მაგრამ დიდი ადამიანი არ იყო. ხოლო თუ მასწავლებელს ჰყავს თანამიმდევრები, მოწაფეები, უეჭველად დიდი ადამიანი გახლავთ. ირაკლი ფაღავა ჭეშმარიტად დიდი ადამიანი იყო, მოძღვრის ნიჭით დაჯილდოებული. ჭეშმარიტად — ასე იქნებიან „წინანი უკან და უკანანი წინ, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ" (მათე 20, 1-16).

ნინო მანჯავიძე,
სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა პროფესორი.

ხსოვნა

ჯურხა ნადირაძე

15 მაისს გამოჩენილ მეცნიერ-არქეოლოგს ჯურხა ნადირაძეს 65 წელი შეუსრულდებოდა, შეჯამდებოდა ის მეცნიერული გზა, რომელიც მან განვლო და ასე მოულოდნელად რომ შეწყდა.

სიყრმეშივე ნაწრთობი და გამობრძმედილი, უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ თავის მეცნიერულ მოღვაწეობას მჭიდროდ უკავშირებს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, სადაც თანამოაზრეებთან ერთად, მუზეუმის ფუძემდებლის აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის თავკაცობით, ილვწოდა ქართული ხელოვნების ძეგლთა წარმოჩენის, შესწავლისა და დაცვისათვის. სავსებით კანონზომიერი იყო, რომ მან, მუზეუმის მუშაკთა შორის პირველმა დაიცვა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

წლების განმავლობაში იგი წარმატებით ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს ყვირილის ხეობაში. მოპოვებული მასალების გაანალიზების საფუძველზე მან საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის სრულიად ახალი ფურცელი გადაშალა. მის არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის განსაკუთრებული ღირებულებისაა საირხეში გამოვლენილი ოქროსა და ვერცხლის მხატვრულად დამუშავების მრავალრიცხოვანი ნიმუშები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად ავსებენ ქართული ლითონმქანდაკებლობის ისტორიის თეთრ ლაქებს.

საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევისადმი მიძღვნილ მის ნაშრომთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონოგრაფიები „საირხე. საქართველოს უძველესი ქალაქი", „არქეოლოგიური ნარკვევები". „ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები" და სხვა.

მოსწავლე ახალგაზრდობას შორის მოწონებით სარგებლობს მისი საყმაწვილო წიგნები — „ადამიანი და პირამიდა", „მზით განათებული ათასწლეულები", „მოთხრობები შორეულ წარსულზე", რაც აკაკი წერეთლის სახელობის პრემიით აღინიშნა.

მან დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა ისტორიკოსების აღზრდის საქმეში, რომლებიც ღირსეულად განაგრძობენ ხელმძღვანელის მიერ დაწყებულ საქმეს.

ჯურხა ნადირაძის — მეცნიერისა და მამულიშვილის მიერ განვლილი გზა სამაგალითოდ დარჩება ახლობლებისა და თანამემამულეთათვის.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექცია; მუზეუმის სამეცნიერო საბჭო.

ხელოვნება

წერტილი და მძიმე

სიმბოლურად ასე შეაფასა თავისი გამოფენა ომარ ჩხაიძემ და ამით ბევრი რამ თქვა.

ცნობილი მწერლის ნათქვამით, სასურველია მწერალმა გზა შემოქმედებითს სრულყოფილებამდე საწერ მაგიდასთან გაიაროს და არა მკითხველის თვალწინ, მისი შინაგანი მოთხოვნილება უფრო ამოჩნდა, ვიდრე რომელიმე კრედოსადმი ერთგულება, მით უმეტეს — მორჩილება. ასე ჩუმად, უხმაუროდ, უცხო თვალს მოცილებულმა საკუთარ სახელოსნოში გაიარა გზა, რომელმაც ამ დღემდე მოიყვანა. მხოლოდ ახლო მეგობრებმა თუ იცოდნენ, რომ არის საინტერესო კაცი, რომელიც ცოტა „უცნაურად" ხედავს სამყაროს და შენც გიჩვენებს მას.

წერტილი და მძიმე... ეს ფრაზა იმის კიდევ ერთი დასტურია. თუ რა რთული, კოლიზიებით ალსავსეა ხელოვანის შინაგანი სამყარო და სწორედ ამით — საინტერესო.

ეს ფრაზა ერთი მინიშნებაც არის: არაერთი დიდი ხელოვანის შემოქმედებაში დამდგარა წუთი, როცა ფიქრობ, ხელშესახებად გრძნობ, რომ უკვე ყველაფერი შექმნილია, ნათქვამია, უკვე ზის წერტილი და ამ ვეებერთელა სამყაროსათვის კიდევ რამის მიმატების სურვილი, ამაო მცდელობის გარდა, ამ წერტილის შეურაცხყოფაა. ხშირად ეს წუთი წლები გრძელდება.

მაგრამ რომელ დედას შეუძლია არ შვას შვილი, რომელმაც უკვე ცხრა თვე მის წიაღში გაატარა და გადაწყვიტა დაიბადოს? რას უზამ დაბადების მარადიულობას, იმას, რომ სამყაროში შეუცნობელი გაცილებით მეტია, ვიდრე შეცნობილი, დაბოლოს, რა ვუყოთ შთაგონებას, რომელიც შენი ნებით და სურვილით არ მოდის.



წერტილი და მძიმე... იტყვის მხატვარი ბევრი ძიების, ფიქრის, განცდის შემდეგ, რაც იმის აღიარებაც არის, რომ ყველაფერი უკვე შექმნილ-გაკეთებული ფიგურალურად წერტილია. იმასთან შედარებით, რასაც მომავალში გააცოცხლებს შემოქმედის ფანტაზია.

50 წელიწადი და პირველი პერსონალური... ვულოცავთ მხატვარს ორივეს ერთად.

ყალმის გარდა ომარ ჩხაიძისათვის არც კალამია უცხო — ასეთი სტრიქონები აქვს: „არა არს იგი — ხმაი ჩემი, ჩემგან შობილი, სიყვარული არს ღმრთისა თანა მისი მშობელი... მე მხოლოდ სიტყვად მოვიტანე იგი თქვენამდე". ასე მოაქვს სახიერ სიტყვად, ფერად, ხმად, გრძნობად ხელშეუვალი — ხელშესახებად, უხილავი — ხილულად.

გამოფენაზე გელით, რუსთაველის პროსპექტის 3-ში, ახალ გალერეაში.

გალინა ხარებაშვილი,
ირინე ჩომახიძე.

• • •

სურათზე: ო. ჩხაიძის „ქალის პორტრეტის" ფოტორეპროდუქცია.

ჟურნალ „ნობათის" კონკურსის ლაურეატები

საქართველოს მწერალთა კავშირში შეჯამდა ჟურნალ „ნობათის" ლიტერატურული კონკურსის შედეგები.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 64-მა ახალგაზრდა ავტორმა რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან. კონკურსის ჟიურიმ (რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ცნობილი ქართველი მწერლები) პრემიები მიანიჭა შემდეგ ავტორებს:

1) 1,5 მილიონი კუპონი — ირინე ბაქანიძეს მოთხრობისათვის „ოდეს ღმერთები ნადირობენ".
2) 1,0 მილიონი — ტატო ნინუას — ლექსებისათვის;
3) 0,5 მილიონი — თამარ მაისურაძეს — ლექსებისათვის;

წამახალისებელი პრემია მიეცა ჯამბულ ჯიქიას და შოთა დარბუაშვილს ლექსებისათვის.

„ნობათში" დასაბეჭდად რეკომენდაცია მიეცათ: ბესიკ კაიშაურს, ირმა შიოლაშვილს, ლარისა გაზაშვილს, ირმა კახურაშვილს და მეგი სერებრიაკოვას.

პრემირებული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ჟურნალ „ნობათის" წლევანდელ ნომრებში.

„პრესტიჟი" — პრესტიჟულ სამეულში

ქალაქ ლინგენში (გერმანია) დამთავრდა საბავშვო თეატრების საერთაშორისო ფესტივალი. ნორჩთა შემოქმედების ამ წარმომადგენლობით დათვალიერებაში მონაწილეობდნენ 15 ქვეყნის საუკეთესო სასცენო კოლექტივები. ჩვენს რესპუბლიკას წარმოადგენდა საქართველოს ბავშვთა მუსიკალური თეატრი „პრესტიჟი", რომელიც საუკეთესო სამეულში შევიდა.

ცოტა ხნით ადრე „პრესტიჟი" დიდი წარმატებით გამოვიდა საერთაშორისო ფესტივალში „ასპარეზობა-93", რომელიც მოსკოვის ოლქის ქალაქ ოდინცოვოში გაიმართა. სწორედ მაშინ დაინტერესდნენ თბილისიდან ჩასული კოლექტივით საზღვარგარეთელი სპეციალისტები, რომლებმაც ნორჩი მსახიობები ლინგენის ფესტივალზე მიიწვიეს.

მრავალი მოწვევა მოჰყვა ახლანდელ დათვალიერებასაც.

გზა დავულოცოთ „პრესტიჟს"!

ციკლიდან — „შეშლილი კავკასია"

ჯოხარ დუდაევის ძმაკაცის საგაზაფხულო ვნებანი

იტარ-ტასსმა ერთი ასეთი უცნაური ინფორმაცია გაავრცელა:

ჩეჩნეთის პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის მრჩეველი განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებში, მისი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი რ. ლაბაზანოვი მაფიური კლანების მორიგი შეტაკების დროს ცეცხლსასროლი იარაღით სერიოზულად დაჭრეს და გროზნოს ცენტრალურ საქალაქო საავადმყოფოში მოათავსეს... მას იცავს 200-ზე მეტი მებრძოლ-ხულიგანმაფიოზი!

თურმე რ. ლაბაზანოვი შეიარაღებულ რეციდივისტთა ბანდას ხელმძღვანელობს, რომელიც 500-მდე კაცს აერთიანებს. ბანდის „მოღვაწეობის" უმთავრესი მიზანი ლამაზი გოგონების მოტაცება და საერთაშორისო ბაზარზე გაყიდვაა! „ცოცხალი საქონელი" ვალუტაზე იყიდება ცენტრალური აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში... აქ, ამ ლამაზმანებს, მდიდართა ჰარამხანებისა და რიგითი საროსკიპოების გასამდიდრებლად იყენებენ. და რაც ყველაზე შემაზრზენია: „ცოცხალი საქონელი" თურმე, საქართველოსა და აზერბაიჯანის გავლით მიდის საზღვარგარეთ.

სამწუხაროდ, საქართველოს მაფია ჩრდილოკავკასიურ ბანდასთანაც „შეკრული" აღმოჩნდა. საქართველომ (თუმცა, სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი) ამ ბინძური ბიზნესის ხელშემწყობი (და არა მარტო ხელშემწყობი) როლიც იკისრა... არადა, რა გულუბრყვილოდ გვეგონა — ტყვეებით ვაჭრობა წარსულს ჩაბარდაო.

მართალია, დუდაევის ძმაკაცის ბანდის შესახებ ინფორმაცია ჩეჩნეთის პრეზიდენტის ოპოზიციამ გაავრცელა და ზოგი რამ შესაძლოა გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ...

— კავკასიელი ლამაზმანები რომ მსოფლიოს ბაზარზე ძვირად ფასობენ — ცხადია!

— ასობით ქართველი ქალი (გოგონა) რომ ვერ უძლებს დღევანდელ სიდუხჭირეს და საზღვარგარეთ სხეულით ვაჭრობს — ესეც ცხადია!

— საბაზრო ეკონომიკას რომ მსგავს ვაჭრობაშიც ჩვენთან ბადალი არ ეყოლება — ესეც ცხადზე უცხადესია!

ახლა მთავარია, ნაძირალებმა მართლაც უმწიკვლო გოგონები არ მოგვტაცონ და ჩვენს გაუსაძლის ყოფას ახალი საშინელებანი არ დაუმატონ!

ვინ იცის, ეშმაკს არ სძინავს!..

სპარტაკ ქოზულია.

მოგზაურობა ევროპაში 280 წლის შემდეგ

განხორციელდება თუ არა იგი?

მრავალგვარი მოგზაურობა არსებობს, ველური ტურიზმით დაწყებული და სამეცნიერო-კოსმოსური ექსპედიციით დამთავრებული. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია ეგრეთ წოდებული ისტორიული მოგზაურობები, რომლებიც სპორტული და სამეცნიერო ექსპედიციების ერთგვარი სინთეზია. აქ მკითხველს უეჭველად გახსენდება ტურ ჰეიერდალისა და ტიმ სევერინის საქვეყნოდ ცნობილი ექსპედიციები, იტალიელთა მოგზაურობა მარკო პოლოს ნაკვალევზე, საერთაშორისო რეგატა „კოლუმბი-500", ქართველთა „ოქროს საწმისი" თუ „აბრეშუმის დიდი გზა"...

15-20 წელიწადია, არ მასვენებს რამდენიმე ასეთი მოგზაურობის იდეა. 15-20 წელიწადია, შესაძლებლობასა და უკეთეს დროს ველი მათ განსახორციელებლად. მაგრამ დრო უფრო და უფრო უარესდება და შესაძლებლობისაც რა მოგახსენოთ! არადა, მგონია, რომ ასეთი ექსპედიციები, თუნდაც თანამედროვე ტრანსპორტით, უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს წარმოჩენისათვის და გარკვეული საერთაშორისო რეზონანსიც ექნება.

ვთქვათ, მოგზაურობა ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის ნაკვალევზე.

ვთქვათ, მოგზაურობა აზიაში რაფიელ დანიბეგაშვილის მარშრუტით.

ვთქვათ, მოგზაურობა კავკასიაში ალექსანდრე დიუმას კვალდაკვალ...

დიუმათი დავიწყოთ. ერთი მხრივ, დღეს ამ მოგზაურობის განხორციელება არათუ სარისკო, ალბათ შეუძლებელიცაა, მაგრამ, მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ საერთაშორისო ქართულ-ფრანგულმა ექსპედიციამ დიუმას ნაკვალევზე, რომელიც ტრანსკავკასიის ცხელ წერტილებზეც გაივლის, გარკვეული როლი შეასრულოს კავკასიის ხალხთა კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენაში. მით უმეტეს, რომ ექსპედიციის წევრებად იმ ხალხთა წარმომადგენლებიც უნდა ვიგულოთ, რომელთა მიწა-წყალსაც თავის დროზე დიუმა ეწვია.

რაფიელ დანიბეგაშვილის 30-წლიანი მოგზაურობები აზიის ქვეყნებში ერთი ნათელი მაგალითია იმ სავაჭრო, და არა მარტო სავაჭრო, ურთიერთობებისა, რომლებიც საქართველოს ჰქონდა თავის ახლო თუ შორეულ მეზობლებთან და რომელთა აღდგენას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია დღეს დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი საქართველოსათვის, რამდენადმე ხელს შეუწყობდა რაფიელ დანიბეგაშვილის მარშრუტის გავლაც.

მაგრამ ყველაზე აქტუალურად ამ ეტაპზე მაინც სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის გამეორება მესახება, თავისი პარიზითა და რომით, რადგან, ვფიქრობთ, რომ სწორედ დღეს, როცა საქართველო იძულებით ესენგეს წევრი გახდა, უაღრესად მნიშვნელოვანია გავახსენოთ მსოფლიოს დასავლეთის კულტურაზე, დასავლეთის ცივილიზაციაზე ჩვენი ორიენტაცია, რაც თუ, თუნდაც მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანით დავიწყებთ, საუკუნეებს ითვლის.

ამ ექსპედიციების მეტ-ნაკლებად ზუსტი მარშრუტების დადგენაში დიდად გვიწყობს ხელს თითოეული განათლებული მკითხველისათვის კარგად ცნობილი წიგნები: ალექსანდრე დიუმას „კავკასია", რაფიელ დანიბეგაშვილის „30 წელი აზიის ქვეყნებში" და სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში", თუმცა ამ უკანასკნელს სრული სახით ჩვენამდე არ მოუღწევია და მხოლოდ უკან, საფრანგეთიდან საქართველოსკენ გამოვლილ გზას მოიცავს.

რაჭიდა, ჩემი აზრით, უფრო აქტუალურია და თანაც შედარებით ნაკლებ ხარჯებს და ნაკლებ საორგანიზაციო სამუშაოს მოითხოვს, თანაც რადგან მარშრუტი ყველაზე უსაფრთხო ქვეყნებზე გადის, დღეს საზოგადოების ყურადღება სწორედ სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის გამეორებაზე მინდა შევაჩერო. „გამეორება" აქ პირობითი ტერმინია და მხოლოდ მარშრუტის თანხვედრას გულისხმობს, თორემ შინაარსი და მიზანი ამ მოგზაურობას, ბუნებრივია, სხვა ექნება.

ექსპედიციის შემადგენლობაში, ჩემი ფიქრით, უნდა იყვნენ საზღვაო მოგზაურობაში მეტნაკლებად გამოცდილი ადამიანები: მეცნიერი და ჟურნალისტი, კინოოპერატორი და ექიმი, თარჯიმანი და, რაღა თქმა უნდა, პროფესიონალი მეზღვაურები.

მე უკვე მქონდა წინასწარი საუბარი ექსპედიციის რამდენიმე პოტენციურ წევრთან, რომელთაც მხარდაჭერა აღმითქვეს. იმედი მაქვს, ამ პროექტის განხორციელებაში აქტიურად ჩაებმებიან საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთსა და თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულენიც. იმედი მაქვს აგრეთვე საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერისა. გარდა ამისა, მაქვს იმის იმედიც, რომ ამ ექსპედიციით დაინტერესდებიან ჩვენი საქმიანი წრეები, მეცენატები, რომლებიც მატერიალურად თუ ფინანსურად შეგვეწევიან პროექტის განხორციელებაში.

ვფიქრობ, გადამწყვეტია, თუ რა გამოხმაურება ექნება ამ იდეას ქართულ პოლიტიკურ, სამეცნიერო და საქმიან წრეებში, საერთოდ მთელ საზოგადოებაში.

ჩემი ეს ოპუსი მინდა დავამთავრო ალექსანდრე დიუმას ცნობილი სიტყვების პერიფრაზით:

ველი და ვიმედოვნებ.

პაატა ნაცვლიშვილი.

მოკლედ...

ფეხბურთი. ეროვნული თასის გათამაშება. პირველი ნახევარფინალური მატჩები: ფოთის „კოლხეთი"-თბილისის „დინამო" 0:2 (ინალიშვილი — 30 და 89 წთ.), „ბათუმი" — რუსთავის „მეტალურგი" 1:0 (ნასუაშვილი — 67 წთ.).

საპასუხო შეხვედრები გაიმართება 22 აპრილს თბილისსა და რუსთავში.

მინი-ფეხბურთი. თბილისის უბნების ჩემპიონატი. მატჩი III ადგილისათვის. „საბურთალო-3"-„რუსთაველი" — 5:3, ფინალი. „საბურთალო-1"-„მთაწმინდა" — 4:2.

საპატიო სტუმარი თბილისში

13-14 აპრილს საქართველოში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა უეფას აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს გენერალური მენეჯერი ერიკ ეპლე. იგი საქართველოში ჩამოვიდა, რათა ადგილზე გასცნობოდა ქართული ფეხბურთის წინაშე მდგარ პრობლემებს და გაერკვია მთლიანობაში რა სიტუაციაა რესპუბლიკაში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურთა თანხლებით სტუმარმა დაათვალიერა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, რიგვა-დარიგებანი მისცა მის სამსახურებს, იყო თბილისის „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე დიღომში, 26 მაისის სახელობის სტადიონზე, სპორტის სასახლეში.

13 აპრილს ერიკ ეპლე მიიღო რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერმა ვ. გოგუაძემ. ერიკ ეპლემ დამსწრეთ მოახსენა თავისი ვიზიტის მიზანი და კმაყოფილება გამოთქვა სფფ-ის მიერ გაწეული მუშაობით.

სტუმარმა განმარტა, რომ უეფა-ს გადაწყვეტილებით რიგი ქვეყნებიდან, მათ შორის საქართველოდან 1994-95 წლების ევროტურნირებში მონაწილეობას მიიღებს ერთი გუნდი — ქვეყნის ჩემპიონი — ჩემპიონთა თასზე.

ერიკ ეპლეს ჩამოსვლამდე სფფ-მ თხოვნა გაუგზავნა უეფას, რომელშიც მოითხოვა ორი პრობლემის გადაწყვეტა. ჯერ ერთი, ნება დაერთოს საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩები შინ, თბილისში ჩაატაროს. მეორე, თხოვნით მიმართეს უეფას, რათა საქართველოს თასის წლევანდელი მფლობელი დაუშვან ევროპის თასების მფლობელთა თასზე სათამაშოდ. ანალოგიური თხოვნები გაუმეორეს შვეიცარიელ სტუმარს.

ერიკ ეპლე შეპირდა სფფ-ს მესვეურებს მხარი დაუჭიროს უეფაში მათს მოთხოვნებს. (ეპლეს დასკვნის გარეშე არცერთი საკითხი საქართველოს ფეხბურთის შესახებ არ განიხილება — რედ.).

შემდეგ ეპლემ გეზი სომხეთისაკენ აიღო, მას გზად დაათვალიერებინეს სიონის ტაძარი.

სფფ პრესცენტრი.

გამოსათხოვარი

მე თქვენ ვერასოდეს დაგივიწყებთ!

მე და ნოდარ ჯანბერიძემ, ზედ სადარბაზოს კარს, როგორც იტყვიან, ავაფცქვინით რევაზ მარგიანი.

— ხელები მაღლა, — შესძახა ნოდარ ჯანბერიძემ და ხელაწეულმა რევაზ მარგიანმა სასოწარკვეთით იკითხა. — რას მიშვებით, თქვე ყურუმსაღებო, მიგყავართ, რომ მომკლათ არა? ის მაინც მითხარით, სად უნდა ჩავიმუხლოთ, რომელი ღვინით მკლავთ — „წარაფებით" თუ ლეჩხუმური „უსახელაურით"?

მერე ხელები დაუშვა და ჩურჩულით თქვა: აბა, უხმაუროდ, თორემ ნინიჩკამ თუ დაგვინახა, მორჩა, ჩაგვიშლიდა ყველაფერი.

ამ დროს, როგორც საკვირველება და როგორც გამოცხადება, ჩვენს წინ წარმოდგა ქალბატონი ნინო, მეუღლე რევაზ მარგიანისა...

ქალბატონმა ნინომ მრავალმნიშვნელოვნად გამოგვხედა და ირონიულად თქვა: ჯერ შაქარი გაგესინჯათ და მერე წასულიყავით „სასიკვდილოდო", ისიც დასძინა, სხვაგან ნუ წახვალთ, სახლში რაღაც-რაღაცეები მაქვს და ჩვენთან დასხდითო.

— არ დათანხმდეთო, — მოუჯლუგუნი გამკრა რევაზმა.

ჩვენც შორს დავიჭირეთ და თავი იმით ვიმართლეთ, რომ ახალგაზრდა პოეტმა ბატონ რევაზს გაუწყვია სუფრა და უხერხულია მიუსვლელობა-მეთქი.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, როგორც იქნა, ხელიდან დავუძვერით ქალბატონ ნინოს და წავედით „სასიკვდილოდ".

მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, თითქმის არ შემხვედრია ისეთი შეყვარებული და ერთმანეთს თანგადაყოლილი წყვილი, როგორიც ქალბატონი ნინო და ბატონი რევაზი იყო.

თქვენ წარმოიდგინეთ, ყველა ლირიკული ლექსი, რომელიც კი რევაზ მარგიანს დაუწერია, ქალბატონ ნინო ძლონტისაგან შთაგონებულია, მის მშვენიერებას, მის ზნეკეთილობას, მის ერთგულებას წარმოუშვია.

როცა ბატონი რევაზ მარგიანი ამ წუთისოფლიდან წავიდა, მართალი გითხრათ, არანაკლებ მეცოდებოდა ქალბატონი ნინო, მარტოდ დარჩენილი მუზა, რომელსაც აღარა ჰყავდა შემოქმედი, ამკაფებელი უკვე ჩამქრალი ვარსკვლავისა.

წავიდა ჩვენგან ძვირფასი ქალბატონი და თან წაიღო ამქვეყნიური სევდა და ვარამი, სიყვარული და ერთგულება...

თუნდაც ზეციურ საქართველოში, მის მარადიულ სამოთხეშიც კი ვერაფრით ვერ წარმომედგინა რევაზ მარგიანი ნინო ძლონტის სიყვარულის მიღმა და აჰა, ისინი კვლავ ერთად არიან...

მშვიდობით, ძვირფასო ქალბატონო, თქვენ ჩემზე დიდი ამაგი გქონდათ. მე თქვენ და ბატონ რევაზს ვერასოდეს დაგივიწყებთ!

ჩანსულ ჩარკვიანი.

საშუამავლო კომერციული ფირმა „რენესანსი"
დაგეხმარებათ, ინტერიერის კომფორტით მოწყობაში. იმპორტული ავეჯის, რადიოტელეაპარატურისა და სხვა საჭირო ნივთების შეძენა-გაყიდვაში.
ფირმა ეფექტიანი და უსაფრთხო მომსახურების გარანტიას იძლევა.
ჩვენი მისამართია: სულხან-საბას ქ. № 4
ტელეფონი: 93-52-63 დღისით,
29-86-39 საღამოს საათებში.

თუ სახესა და ტანზე გაგიჩნდათ სხვადასხვა [illegible] წარმონაქმნები (მეჭეჭები, პაპილომები, კონდილომები) მიმართეთ ექიმ რუსუდან საყვარელიძეს, რომელიც მკურნალობს საკუთარი რეცეპტით დამზადებული ხსნით. ამ მეთოდით მკურნალობის უპირატესობა ის არის, რომ სრულიად უმტკივნეულო და [illegible]ებელია, რაც ყველაზე მთავარია კანზე ტოვებს [illegible] ნაკვალევს, რაშიც თქვენ თავად დარწმუნდებით.
ეფექტი
მისამართი:
დავით აღმაშენებლის 115,
„ფანსკერტელის" შენობაში.

მთავარი რედაქტორი ზურაბ [illegible]